ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 158 (437) ხუთშაბათი, 20 აგვისტო, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ულტიმატუმი — საქართველოს

გროზნო, 19 აგვისტო. 21 აგვისტომდე გაიყვანონ ჯარები აფხაზეთიდან, და აუნაზღაურონ მიყენებული ზარალი — ასეთი რამ მოსთხოვა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტმა. დღეს გროზნოში გამოქვეყნებულ ამ პარლამენტის საგანგებო სესიის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „თუ აფხაზეთის ოკუპაცია გაგრძელდება, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია გამოაცხადებს სამხედრო მოქმედების დაწყებას საქართველოს წინააღმდეგ". სესიაზე, რომელშიც მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ცხრა დელეგაცია, გადაწყდა განაგრძონ მოხალისეთა ნაწილების ფორმირება აფხაზი ხალხის დასაცავად.

გროზნოში მიმდინარეობს მოხალისეთა ჩაწერა. აქვე ჩამოდიან მეზობელი რესპუბლიკების ფორმირებანი. დაუზუსტებელი მონაცემებით, მათი ნაწილი უკვე გაგზავნეს აფხაზეთში.

●

სოხუმში კომენდანტის საათი დააწესეს

18 აგვისტოს შუადღის შემდეგ საქართველოს მთავრობის ჯარების აფხაზეთში შეყვანის ოპერაცია დამთავრდა. სოხუმში აფრიალდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა. ქალაქის მთავარ მოედანზე დაამხეს ლენინის ძეგლი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, რომელიც ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცა, ქალაქ სოხუმის კომენდანტად დანიშნულია პოლიციის გენერალ-მაიორი გიორგი გულუა. აფხაზეთის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გართულებასთან, კრიმინოგენური ვითარების მკვეთრ გამწვავებასთან დაკავშირებით ქალაქ სოხუმში შემოღებულია მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი ერთი თვით — 1992 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით. ამავე ვადით ქალაქ სოხუმში დაწესებულია კომენდანტის საათი, რომელიც მოქმედებს 22 საათიდან დილის 6 საათამდე. აკრძალულია მიტინგები, გაფიცვები, დემონსტრაციები, აგრეთვე სხვა მასობრივი ღონისძიებანი, და მათში მონაწილეობა. აკრძალულია აგრეთვე სამხედრო ფორმირებათა შექმნა და მოქმედება. პირველად 14 აგვისტოდან, როცა დაიწყო პროვოკაციულად გამოწვეული ძმათამკვლელი შეტაკებანი სოხუმის ქუჩებში, 19 აგვისტოს დილით ქალაქმა მშვიდად გაიღვიძა.

თენგიზ ჯიბუტი.

რეპორტაჟი სოხუმიდან

დღეს იყო გუშინ...

ყველამ, ვინც წაიკითხა სამახსოვრო ბარათი „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების შესახებ", იცის რამ განაპირობა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აფხაზეთში შესვლის, — დისლოკაციის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

მიზეზთა ფესვები გუშინდელ დღეშია. ის, რისი მოწმეც დღეს გავხდით, გუშინდლიდან ამოიზარდა.

18 აგვისტოს რამდენიმე ჟურნალისტი სოხუმში ჩავედით.

დღეს სოხუმში, — ასე უნდა დაწყებულიყო ეს რეპორტაჟი, მაგრამ ეს იყო გუშინ.



სურათებზე: თენგიზ კიტოვანი ოპერატიულ შტაბში სოხუმის სანატორიუმ „სინოპში"; მძიმე ტექნიკა სოხუმის შესასვლელში; დამსვენებლები ტოვებენ სოხუმს; გვარდიელი შესვენებისას.
შახვალად აივაზოვის (ფოტოსააგენტო „დრო") და სერგო ედიშერაშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

1.

თუმცა სოხუმში ჯერ ჩასასვლელები ვართ.

„იაკ-40"-ით მიაქვთ ფოსტა, „საქართველოს რესპუბლიკის" 13 აგვისტოს ნომრის ეგზემპლარები. ხუთი დღის დაგვიანებით, ასეთი ოპერატიულობით ინფორმაციული ომი ჯერ არავის მოუგია. ზეპირი ინფორმაცია უფრო სწრაფია.

თბილისშივე თქვეს — თენგიზ კიტოვანმა თავისი ულტიმატუმი შეასრულა — არძინბა არ გადადგა და სახელმწიფო ჯარები შევიდნენ სოხუმში. ერთ კალაპოტში გამოჭრილებივით ჰგვანან ერთმანეთს პატარ-პატარა დიქტატორები, ქონდრისკაცები, თორემ ნაპოლეონი, მოგეხსენებათ, გადადგა.

ერთიც. ნოდარ შენგელიამ, სოხუმის 2654-ე ავტოკოლონის მძღოლმა თვითმფრინავში მიამბო: ორი კვირის წინ გალის ბაზარში ქალი ბავშვს ყიდდა, თავის შვილს, — ეგებ ვინმემ შეიფაროს და შიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს, მე კი თავს მოვიკლავო. თუ დრო დარჩა, ამ ფაქტს მივუბრუნდები.

მივფრინავთ სოხუმში. ეს კი ნიშნავს, რომ თბილისური ჭორი — გვარდიამ იქაური აეროპორტის ასაფრენი ბილიკი დაბომბაო, მართლა ჭორია. დაფრენა უტყუარად ადასტურებს ამას.

● ● ●

დღეს 18 აგვისტოს... თუ გუშინ... მკითხველი გაზეთის ამ ნომერს 20-ში მიიღებს...

ერთი სიტყვით, 18 აგვისტოს გვარდიის ქუთაისის ბატალიონისა და შინაგანი ჯარების ნაწილებმა, 12 საათსა და 30 წუთზე დაიკავეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა. მსხვერპლი — ნული. ოპერაციას გია ყარყარაშვილი ხელმძღვანელობდა.

შენობის თავზე საქართველოს დროშა აღმართეს შინაგანი ჯარების ოფიცრებმა ფრიდონ ლომიძემ და ჯუმბერ წივილაძემ.

სატელევიზიო ანძა ბლოკირებულია ეროვნული გვარდიის სოხუმის ბატალიონის მიერ, აეროპორტს ბოლნისის რაიონის ბატალიონისა და შინაგანი ჯარების ნაწილები აკონტროლებენ.

რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ექსტრემალური, არაორდინალური სიტუაციის (ხელისუფლების ვაკუუმი) შეძლებისდაგვარად მოსაწესრიგებლად.

აქ, ყველგან განიხილავენ და ბჭობენ პოლიტიკურ პრობლემებზე: შეიკრიბება თუ არა პარლამენტი, გადააყენებს თუ არა არძინბას, როგორი იქნება აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ფორმა, რა სტრუქტურები შეიქმნება? მოსახლეობა, ჟურნალისტები, ჩამოსულები და მასპინძლები, ყველანი ეძებენ პარალელებს. პოულობენ, რადგან ისტორია, მოგეხსენებათ, გამეორებებს „დაბალ შტილად" არ მიიჩნევს.

ანალოგიები: საქართველოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოები, ორივე ორად გაიყო და ერთმანეთს დაუპირისპირდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ კატეგორიულად უარყო ოპოზიცია და დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა, გადავიდა ამსრულებელ ხელისუფლებაზე.

გამსახურდია თავიდან იცილებს რესპუბლიკის პრემიერს, არძინბა — თავის შინაგან საქმეთა მინისტრს, ავტონომიური რესპუბლიკის პოტენციურ პრემიერს.

ორივეგან ოპოზიციასთან ერთად დიქტატორებს უპირისპირდება გვარდია.

ორივეგან — ხელისუფლების უზურპატორთა გადადგომა, როგორც პირობა სისხლისღვრის თავიდან აცილებისა.

არც ერთი, არც მეორე ელემენტარული გონიერების დონეზე არ აღმოჩნდება.

ორივეს ძალით ატოვებინებენ თანამდებობებს.

ორივენი გარბიან ძალიან მსგავსი მარშრუტით.

პირველს ძმათა შორის სისხლისღვრა მოჰყვა.

მეორესი — ახლა იწყება? მაგრამ ჩვენ უკვე გაგვაჩნია გარკვეული გამოცდილება, ტრაგიკული, და, იქნებ, ამან გვიშველოს...

კიდევ ბევრ რამეზე მსჯელობენ, დღევანდელ სიტუაციაზე, რუსეთის ფედერაციის არმიის როლსა და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსალოდნელ თავდასხმაზე განსაკუთრებით. დაუზუსტებელი ცნობა: თითქოს ჩეჩნეთიდან იარაღით დატვირთული ორი ვერტმფრენი სოხუმისკენ წამოვიდა.

— ბატონო თენგიზ, რამდენად რეალურია ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტევის საშიშროება? — შეკითხვა ბატონ თენგიზ კიტოვანს სახელდახელო პრესკონფერენციაზე ქართული და უცხოეთის სააგენტოებისთვის მომუშავე ჟურნალისტებისათვის.

— მაშინ ეს იქნება ომის გამოცხადება და ჩვენი ქვეყნის დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებთ. ამისათვის ყოველმხრივ მზადა ვართ.

რახან რეპორტაჟში პრესკონფერენციის ფრაგმენტი შემოვიდა, ბარემ განვაგრძოთ:

— რა სიტუაციაა ახლა აფხაზეთში?

— ჩვენი ჯარი აკონტროლებს აფხაზეთის მთელ ტერიტორიას გუდაუთის რაიონის გარდა.

— რამ გამოიწვია ჯარის შეყვანა სოხუმში?

— იმან, რაც უკვე საყოველთაოდ ცნობილია: დატაცებები, ყაჩაღობა რკინიგზაზე, ავტომაგისტრალებზე, ადამიანების გატაცება და ა. შ. ცნობილია ისიც, თუ რა უდიდესი მატერიალური და მორალური ზარალი განიცადა მთელმა რესპუბლიკამ, ჩვენ და ჩვენმა მეზობელმა სომხეთმა. ყველა ეს ბოროტება აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდებოდა. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ აფხაზეთის მთავრობას მიეღო გადამჭრელი ზომები, აღეკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულობანი. არძინბას ორჯერ პირადად შევხვდი. იყო დაპირება, მაგრამ შედეგი არათუ არ ჩანდა, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კრიმინოგენულადაც და პოლიტიკურადაც.

საქმე იქამდე მივიდა, რომ არძინბამ ეს არეული სიტუაცია თავისი ამბიციური ზრახვების განხორციელების ფარდად გამოიყენა. როგორც იცით, აღადგინა 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, აფხაზეთი, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და რჩება.

ეს იყო არა მარტო ანტიკონსტიტუციური, ანტისამართლებრივი მოქმედება, არამედ საკუთარი ხალხის გაწირვა და სისხლისღვრაში ჩათრევა.

ასეთი ავანტიურის საბოლოო შედეგი ყოველთვის ერთია. არძინბას რეჟიმიც დაეცა.

აფხაზეთის პარლამენტი ბოლო პერიოდში ფიქციად იქცა. მოგეხსენებათ, ქართულმა დეპუტაციამ დატოვა უზენაესი საბჭო.

მოლაპარაკების დროს ჩვენი წინადადება იყო უზენაესი საბჭოს მოწვევა და არძინბას გადაყენება. ჯერჯერობით ამაზე არ გვეთანხმებიან.

ამის გამო აფხაზეთში შეიქმნა ადგილობრივი ხელისუფლების ვაკუუმი, შესაძლო ანარქიით და უმძიმესი შედეგებით. ამის თავიდან ასაცილებლად ამჟამად აფხაზეთში მოქმედებს დროებითი სამხედრო საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები, 9 კაცი. თავმჯდომარეა თამაზ ნადარეიშვილი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სოხუმის კომენდანტად დანიშნულია გენერალ-მაიორი გულუა.

— ეს უკვე მეორე სამხედრო საბჭოა თქვენთვის არასრული რვა თვის მანძილზე.

— იმედი ვიქონიოთ, რომ — უკანასკნელი.

— თბილისში ხმა დაირხა, თითქოს მთელი ვაკის ბიჭები, 20 წლის ასაკამდე ყველა უკლებლივ სოხუმში ჩამოვიდაო. აღელვებულია ქალაქი და შეწუხებული.

— მთელი თბილისი და მთელი საქართველო იმითაა აღელვებული, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს. შექმნეს უკანონო ჯარი, რისი უფლებაც არძინბას არ ჰქონდა. უნდა გითხრათ გააფთრებით იბრძოდნენ...

— ჩანს კავშირი გროზნოსთან?

— არა მარტო გროზნოსთან. აქ აშკარად გამოიკვეთა მუსლიმანური სამყაროს სტრატეგიული ხაზი. მაგრამ ჩვენი შეიარაღებული ძალების აქ შემოსვლით ეს ღერძი გატყდა. მე მგონი შეუქცევადი პროცესია, რადგან მას წინ აღუდგა არა მარტო ქართველი ერი, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროც.

— შეიძლება ვთქვათ, რომ აფხაზეთში მშვიდობის დამყარების პირველი ეტაპი დამთავრდა?

— პირველი ეტაპი ნამდვილად დამთავრდა. სიმშვიდე კი მაშინ დამყარდება, როდესაც იმასაც დავძლევთ, ან თავიდან ავიცილებთ, რაც დღევანდელ სიტუაციას შეიძლება მოჰყვეს — პარტიზანულ ომს. მაგრამ ამასაც მივხედავთ. რასაკვირველია იქნება მსხვერპლი, მაგრამ გვაქვს სულის სიმტკიცე და ჩვენს მიწას ჩვენვე დავიცავთ.

— მაგრამ დღევანდელი ოპერაცია უმსხვერპლოდ ჩატარდა.

— დიახ, უმსხვერპლოდ.

— ცნობილი გახდა, რომ აფხაზმა ექსტრემისტებმა დანაღმეს რკინიგზის მაგისტრალი გაგრაში.

— ცოტა ხანში ყველაფერი მოწესრიგდება. სიტუაციის განმუხტვის ერთ-ერთი გარანტიაა ისიც, რომ რკინიგზის ნორმალური ფუნქციონირება ჩვენთან ერთად სჭირდება რუსეთის ჯარსაც, რადგან იგი მისი მომარაგების მთავარი არტერიაა. ჩვენ არაფერი რომ არ გავაკეთოთ, ისინი უზრუნველყოფენ მაგისტრალის გაწმენდას.

— დანარჩენ რკინიგზას ჩვენ ვაკონტროლებთ?

— დიახ, თავიდან ბოლომდე.

— ბატონი ედუარდ შევარდნაძე თუ უჭერს მხარს თქვენს ნაბიჯებს?

— ნებისმიერი ქართველი, რომელსაც სამშობლოსათვის გული ეწვის, მხარს უჭერს ამ ნაბიჯებს.

— რა ხდება გუდაუთაში?

— მარტო ერთ რამეს ვეტყვით, ის 3,5 მილიარდი, რომელიც სომხეთისთვის იყო განკუთვნილი და ყაჩაღურად დაიტაცეს, გუდაუთაშია თავმოყრილი.

— რის გაკეთებას აპირებთ გუდაუთის რაიონის დებლოკირებისათვის?

— ეს ჩვენი საქმეა, სამხედროების.

— მძევლად აყვანილთა შესახებ რას იტყვით?

— იმას, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ: ყველა მძევალი ბოლოს აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა. არძინბას არაფერი გაუკეთებია ამის აღსაკვეთად. მას ხელს აძლევდა, საქართველოში ქაოსი ყოფილიყო და ამიტომაც აქეზებდა ექსტრემისტებს.

— არის რაიმე შანსი, რომ გაათავისუფლებენ კავსაძეს, სალარიძეს, სხვებს?

— უნდა გაათავისუფლონ...

თენგიზ კიტოვანი დასვენებული არასოდეს მინახავს. ახლაც უძილობის ლაქები ადევს სახეზე, მძიმე დაღლილობის ნიშანი. მაინც გაუტეხელია.

— რამდენი დღეა, არ გძინავთ?

— არც მახსოვს.

— თქვენიანები, ალბათ, ღელავენ?

— სახლში რამდენი ხანია არ ვყოფილვარ, და არაფერი ვიცი. ალბათ ასეა, ღელავენ...

პრესკონფერენციიდან გამოსულს სოხუმელი ქართველები შეხვდნენ — იარაღი მოგვეცითო, თხოვეს.

სოხუმის ცაზე კი, რაღა ცაზე — სახლების სახურავებზე განუწყვეტლივ ბარაჟირებდნენ რეაქტიული „მიგები" და სინოპის მთის კიპარისები ლამის უფხაჭნიდნენ აღრიალებულ ფიუზელაჟებს.

სოხუმი — თბილისი.

ა. ქალიძე.

ნომერში
◉ მანიფესტი დიდმნიშვნელოვანი აქტია. 2
◉ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა ერის ინტერესებს ემსახურება. 3

რუსეთის ფედერაციის მთავრობის განცხადება

ამ ბოლო ხანს აფხაზეთში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით გააქტიურდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეროვნული მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ რესპუბლიკებში. კონფლიქტის მსხვერპლისადმი ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნასთან ერთად, ზოგიერთ ამ მოძრაობაში მოუწოდებენ შეადგინონ მოხალისეთა რაზმები აფხაზეთში გასაგზავნად.

რუსეთის ხელმძღვანელობა, რომელიც გაგებით ეკიდება რუსეთელთა რეაგირებას ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ძალმომრეობის ნებისმიერ გამოვლინებაზე, მოუწოდებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს გამოიჩინონ თავდაჭერილობა და კეთილგონიერება, თავი შეიკავონ მოქმედებისაგან, რომელიც რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციას იწვევს.

ამას ხელი უნდა შეუწყოს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივ ხელისუფალთა მუშაობამაც, რომლებთანაც მჭიდროდ თანამოქმედებს რუსეთის მთავრობა.

დაუშვებელია ადამიანთა გრძნობებით აფხაზეთის ამბების გამო მათი გულწრფელი წუხილით თამაშის ცდები პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის, საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ წამქეზებლური მოქმედებისათვის.

რუსეთის ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ცდები. ამასთანავე იგი გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭო და აფხაზეთის ხელისუფალნი დაუყოვნებლივ გადავლენ კონფლიქტის ცივილიზებულ მოწესრიგებაზე, არ დაუშვებენ სისხლისღვრის გაგრძელებას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, მხარეებთან შეთანხმებით, ხელი შეუწყოს ასეთ მოწესრიგებას.

საქართველოსა და საბერძნეთის მეგობრობა მტკიცდება

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ედუარდ შევარდნაძემ ათენიდან მიიღო მემარცხენეთა კოალიციისა და პროგრესის კონგრესის პრეზიდენტის მარია დამანაკის წერილი. წერილის ავტორი მადლობას იხდის კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოთქმულია ბატონ ედუარდ შევარდნაძის მისალმებაში კონგრესისადმი.

დემოკრატ და მემარცხენე რადიკალთა ერთ პარტიად გაერთიანების გადაწყვეტილება, ნათქვამია მარია დამანაკის წერილში, წარმოადგენს ახალ ეტაპს საბერძნეთის მემარცხენეთა კოალიციისა და კონგრესის ცხოვრებაში. არსებობის ამ ახალ ეტაპზე, ჩვენი პარტია შეეცდება ხელი შეუწყოს მრავალმხრივი თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარებას საქართველოსა და საბერძნეთს შორის, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო დონეზე.

წერილის დასასრულს, მარია დამანაკი უცხადებს ჩვენს ქვეყანას გულწრფელ თანაგრძნობას და უსურვებს დიდ წარმატებებს მშვიდობისა და სტაბილიზაციის, დემოკრატიული აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში.

ექსპრეს-ინტერვიუ

ამას ქართულად ღალატი ჰქვია!

ერთი კითხვა თბილისელ მოქალაქეებს

— რამდენად მართებულია ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მოწოდება მსოფლიოს (მათ შორის ქართველი) ხალხებისადმი — გენოციდისაგან დაიცვან მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი?

კოტე დოლიძე — არქიტექტორი:

— ექსპრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამ მოწოდებით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის პოლიტიკოსი არ არის. პოლიტიკოსები ასეთი ენით არ ლაპარაკობენ. მე მგონი, აღარც უნდა დავუგდოთ ყური მის განცხადებებს.

მე თუ მკითხავთ, ამას ქართულად ღალატი ჰქვია!

დავით ჟორჟოლიანი — დიზაინერი:

— ჩვენ შეიძლება ვერ აღვიქვით, ან არ გვინდა აღვიქვათ, ის, რომ გამსახურდია მხარს უჭერს ქართული გვარდიის შესვლას აფხაზეთში, მაგრამ წინააღმდეგია აფხაზი ხალხის გენოციდისა. ამას გაგება უნდა... პრესამ და ტელევიზიამ, მე მგონი, მცდარად, არასწორად მიაწოდა ხალხს ექსპრეზიდენტის სათქმელი...

თამაზ დავარაშვილი — ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული:

— მე ეროვნებით ებრაელი ვარ. აქ დავიბადე და გავიზარდე. ეს არის ჩემი სამშობლო. მე ვერ წარმომიდგენია, .. საქართველო უაფხაზეთოდ. ვის სჭირდება ეს ყოველივე, არ ვიცი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას განცხადება მე პირადად, არასერიოზულად მიმაჩნია. გენოციდი აქ არაფერ შუაშია. განა აფხაზი ხალხი კი დაუშვებს ოდესმე იმას, რომ აფხაზეთი საქართველოს გამოეყოს? აქ სამი საკითხია გასარკვევი: ისტორიული, მოსახლეობის ეროვნული პროცენტული მონაცემები და, რაც მთავარია, რეფერენდუმის ჩატარება.

დღეს აფხაზეთს წაშველება სჭირდება და არა ასეთი გალიზიანება.

ნატალია რუხაძე — პენსიონერი:

— აი, ამ ბავშვს ხომ ხედავთ. ეს ლტოლვილია აფხაზეთიდან.

რა ხდება, განა ვლადისლავ არძინბა და ვაი-პოლიტიკოსები უნდა წყვეტდნენ აფხაზი ხალხის ნებას? რა თქმა უნდა, სწორი არ არის ზ. გამსახურდიას ეს განცხადება.

ვლადიმერ ხარიშვილი — ჟურნალისტი:

— ერთიანი საქართველო დღეს ჩვენი უპირველესი მიზანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავიღუპებით. ამდენად, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება პოლიტიკურად გამართლებულია. პრაქტიკულად როგორ ხორციელდება ეს ნაბიჯი, არ ვიცი, მე იქ არ ვყოფილვარ.

ლალი ძელბაძიანი — ფილოლოგი:

— გენოციდი კი არა, პირიქით, ბევრ რამეში დაიგვიანეს კიდეც.

სიმართლე გითხრათ, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ეტყობა, სხვანაირად არ გამოდიოდა. წერტილი ხომ უნდა დაესვას ყველაფერს ბოლოს და ბოლოს.

გალინა კრახმალიოვა — დიასახლისი:

— 1941 წლიდან საქართველოში ვცხოვრობ. ვიცი მისი ისტორია. იგი ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა. ქართველი შვილები გავზარდე, კარგად ვიცი, რასაც ვამბობ: გენოციდზე ლაპარაკი გამსახურდიას მხრიდან, არასწორი და არასამართლებრივია.

ანზორ დანელია — მშენებელ-ინჟინერი:

— რას ნიშნავს გენოციდი? ჩვენს მიწას ვიცავთ ლაგოდეხიდან ფსოუმდე, როკის უღელტეხილიდან სამხრეთ საქართველომდე, და საერთოდ, რა საჭიროა ამ სიტყვის ამოჩემება. ჩვენ გენოციდს კი არ ვაწყობთ, საკუთარ „მეს" ვიცავთ.

სანდრო კავსაძე თბილისს დაბრუნდა!

განთავისუფლების ოპერაცია უსისხლოდ ჩატარდა

მთელ მსოფლიოში გახმაურებული ტერორისტული აქტი ამიერიდან ისტორიის კუთვნილებაა. ბატონი სანდრო კავსაძე თავისუფალია. ორმოცდღიანი ტყვეობის შემდეგ გუშინ დილით საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი საღ-სალამათი, ჯანმრთელი თბილისს დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე ოთხმოცს მიტანებული გამწარებული დედა ინახულა, ესაუბრა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ესტუმრა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს... ერთი სიტყვით, მისი ტყვეობის შემდეგ პირველი დღე, ჩვეულებრივი, დატვირთული და საინტერესო იყო. დღის მეორე ნახევარში კი სახელმწიფო საბჭოს ოვალურ დარბაზში გაიმართა სანდრო კავსაძის პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, რა მოხდა? როგორ მოხდა? რა პირობებში აცხოვრებდნენ ტყვეს? როგორ გამოიხსნეს?

საიდუმლო, რომელიც ორმოცი დღის განმავლობაში აწვალებდა ყველას, გაიხსნა! — რვა ივლისს ჩემთან საზოგადოების წარმომადგენლები მოვიდნენ და შეშფოთება გამოთქვეს სამეგრელოს რეგიონში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის გამო, — აღნიშნა ბატონმა სანდრომ, — დავრწმუნდი, რომ სიტუაცია ფეთქებადსაშიში და ძალიან მძიმე იყო. ბატონი ედუარდი საქართველოში არ გახლდათ, ბატონი თენგიზ სიგუა რაიონში იყო წასული. დავუკავშირდი ბატონ ჯაბა იოსელიანს. მეორე დღეს, დილით გავემგზავრე წალენჯიხაში. შევხვდი სენაკის მაცხოვრებლებს, მეტად სერიოზული და მწვავე საუბარი გვქონდა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. მოსახლეობა ყაჩაღობასა და ბანდიტიზმის აღკვეთას მოითხოვდა. შევხვდი ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელებს, სიტუაციაში უკეთ გასარკვევად მოვითხოვე ადგილობრივი პოლიციის მოწვევა. მათთან შეხვედრამ ჩემი მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა. ვთხოვე, რომ მომზადებულიყვნენ და ორი საათისათვის კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს. მანამდე კი წალენჯიხაში გამგზავრება გადავწყვიტე. სოფელ ხაბუმეს რომ გავცდით და სწორ გზას დავადექით, გაისმა სროლა... 15-20 ახალგაზრდა იქნებოდა, ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული. მე დაცვის გარეშე ვიყავი, მადლობა ღმერთს, არც იარაღი მქონდა თან... ხელჩართულ ბრძოლას ხომ არ დავიწყებდით. სხვა რა ჩარა იყო, უნდა დავნებებულიყავით.

სამი დღე ლუგელას ხეობაში უღრან ტყეში აცხოვრებდნენ. შემდეგ გადაიყვანეს აფხაზეთში. მოატარეს გალის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონები.

ბატონ სანდროს განსაკუთრებით დაამახსოვრდა სამკვირიანი სტუმრობა ერთ მეფუტკრესთან, მეტად ტკბილ და თბილ კაცთან, ტყეში.

უსისხლოდ ჩატარდა ტყვის განთავისუფლების ოპერაციაც... ტყვეობის ბოლო დღეები სოხუმის მაღალი მთის ერთ სოფელში გავატარე. აქაც ადამიანურად მეპყრობოდნენ. მცირე, ათკაციანმა ჯგუფმა გამომიხსნა, — თქვა მან. თვალშისაცემი სიგამხდრის მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ვმარხულობდიო...

— უბედური ვარ, რომ ქართველი ქართველებმა ჩამიგდეს ტყვედ, მაგრამ მადლობელი ვარ ღმერთისა, როგორც ნივთი ნივთზე რომ არ გამცვალესო.

ალბათ, ესეც შვებაა.

ზაურ მაკარაძე.

●

სურათზე: შეხვედრა ალექსანდრე კავსაძესთან თბილისის აეროდრომზე.
ირაკლი გედენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მანიფესტი

საზრისი

აპოლონ სილაგაძე

საქართველოში უკანასკნელ ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოების ყურადღება აშკარად ჩამოაშორა ერთ დიდმნიშვნელოვან, ისტორიულ აქტს — ეს არის 4 აგვისტოს მანიფესტი, რომელსაც ჩვენში შექმნილ უკიდურესად მძიმე სიტუაციაში შეეძლო — და იმედს არ ვკარგავთ, შეუძლია — ახალი წესრიგის, ახალი ცხოვრების დამკვიდრება დაეწყო.

უფრო მეტიც, მოვლენები ისე ტრაგიკულად, სისხლიანად განვითარდა, რომ მანიფესტის სულის საწინააღმდეგო განწყობილებებიც კი გაჩნდა, მათ შორის — ოფიციალურ წრეებშიც. სამწუხაროა, მაგრამ მანიფესტს დღეს დაცვა სჭირდება.

სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ 4 აგვისტოს დეკლარირებული მანიფესტი არაორდინარული ფაქტია. იგი მოვლენაა და ასეთად დარჩება ისტორიაში იმ სამწუხარო შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს მოსახლეობა არ მიიღებს ამ დოკუმენტს. თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი, პრინციპული მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, როგორ მიიღებს მას ხალხი — შესაძლოა, ჩვენ საქმე გვქონდეს ჩვენი განვითარების ისტორიაში ყველაზე უფრო პასუხსაგებ პლებისციტთან.

ასეა თუ ისე, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მსოფლიო ისტორიას გავიხსენებთ, ამგვარი დოკუმენტები არ ქვეყნდებოდა ხოლმე ისეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო, ხალხი ჩვეულებრივ ტემპში და ჩვეულებრივ რეჟიმში ცხოვრობს — ამგვარი დოკუმენტები მხოლოდ კრიტიკული, კრიზისული სიტუაციის პირობებში აღმოცენდება ხოლმე. ამიტომ მანიფესტი დღეს მოითხოვს ჩვენს გამოწვლილვით ანალიზს, პირველ ყოვლისა, პერსპექტივის პოზიციიდან.

თავიდანვე იბადება ასეთი კითხვა: ხომ არ არის დაგვიანებული ამგვარი დოკუმენტის გამოჩენა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. ყოველ შემთხვევაში, ორივე შესაძლებელი ვარიანტი პასუხისა მე კორექტულად და მისაღებად მიმაჩნია.

დაგვიანებულად შეიძლება მივიჩნიოთ ეს დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ ჩვენი ბოლო ორი წლის განვითარებას, კერძოდ — იმას, რომ საზოგადოების კონსოლიდაციის, სამოქალაქო მშვიდობის, ეროვნული შერიგების იდეები დიდი ხანია წარმოიშვა და ასევე დიდი ხანია ჰაერში გამოკიდებულად დარჩა. გლობალური თანხმობის მიმართულებით ენერგიული ნაბიჯების გადადგმას, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. მოითხოვდა, რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლებისაგან. ეს ფაქტია, როგორც ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს ნაბიჯები არა თუ არ გადადგა, არამედ აშკარად არ მიაქცია ყურადღება პირველ საგანგაშო სიმპტომებს, რომელთა შემდგომი განვითარების შედეგი საბოლოო ჯამში ის იყო, რომ ყველამ ერთად განხეთქილება მივიღეთ.

თავს უფლებას მივცემ გავიხსენო, რომ ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში, უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ჩატარებამდე, გაზეთ „ერის" ფურცლებზე მე გამოვედი წინადადებით ეროვნული თანხმობის დეკლარაციის მიღების შესახებ. მაშინ ჩემთვის ამოსავალი დებულებები შემდეგი იყო (მომაქვს ციტატა და ბოდიშს ვიხდი, რომ კიდევ რამდენიმეჯერ მოვიტან):

„... ჩვენ ყველანი შევიცვალეთ. ოღონდ შეცვლის პროცესი არ უნდა შევწყვიტოთ. იგი უნდა გაგრძელდეს.

ოღონდ არ უნდა წაგვლეკოს ვნებათა ტალღებმა. არ უნდა დავარქვათ იდეოლოგია რწმენის (ან რწმენის სურვილის) ნებისმიერ სიმბოლოს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ძველი, წარსულიდან მომდინარე ცნებები, მათ შორის იდეოლოგიის ცნება, დღეს აღარ შეესაბამება სოციალურ კონტექსტს. იდეოლოგია დღეს ყველგან ითვლება დაცემულ სიტყვად და დაცემულ ცნებად.

საქართველო დღეიდან უნდა შეუდგეს დამოუკიდებელი ქვეყნისა და ჰუმანური საზოგადოების შენებას. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი რწმენა, ეს არის კავშირი, დაფუძნებული კეთილშობილური მიზნის კეთილშობილური გზით განხორციელების იდეაზე. ჩვენ არ უნდა გვინდოდეს ჩვენი ცხოვრების ძველი წესის მხოლოდ ფორმალური გამოცვლა — ეს ძველი წესის შენარჩუნება იქნება.

ახალმა პარლამენტმა ალბათ თავისი მუშაობის პირველსავე დღეებში უნდა განსაზღვროს ეროვნული კონსენსუსის პოლიტიკა, შემდეგ უნდა შექმნას და გამოაქვეყნოს ეროვნული თანხმობის დეკლარაცია. დემოკრატიზაციის პროცესს დაცვა სჭირდება. და ეს პარლამენტის მოვალეობაა. როგორი წარმატებით და როგორ ნაყოფიერად განახორციელებს იგი ამ მისიას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ თანხმობის დეკლარაცია სწორედ წარმატებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება".

უზენაესი საბჭო, როგორც ცნობილია, ვერ აღმოჩნდა სიმაღლეზე, თუმცა იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომელზეც საუბარია, აუცილებლობასაც წარმოადგენდა და ვალდებულებასაც. ახალ პირობებში, ახალი საზოგადოების, ახალი ქვეყნის შექმნის ვითარებაში, არ შეიძლებოდა არ აღმოცენებულიყო [illegible] მოქმედების სურვილები — არ აღმოცენებულიყო არა მარტო საერთოდ, არამედ კონკრეტულადაც მმართველი უმრავლესობის წრეებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაჩნდებოდა დაუსჯელობის ატმოსფეროც, მითუმეტეს, რომ შემაკავებელი ფაქტორები პრაქტიკულად არ არსებობდა. სწორედ ამიტომ იყო საჭირო საწყის სტადიაზე გარკვეული დეკლარაციის მიღება, რაც ჩვენი მოქცევის წესის გარკვეული განსაზღვრაც იქნებოდა და გარკვეული შეზღუდვაც. შეზღუდვა კი საჭირო იყო იმის გამო, რომ მოქმედებებიც და მოვლენებიც შეიძლებოდა წარმართულიყო ნებისმიერი შესაძლებელი კალაპოტით — სასურველითაც და არასასურველითაც, ცივილიზებულითაც და არაცივილიზებულითაც.

მთავარი მაინც ის იყო, რომ მთლიანად პროცესი არ შეიძლებოდა მხოლოდ პარლამენტით შემოსაზღვრულიყო. ეს, ერთი მხრივ, იქნებოდა რეალიების უგულებელყოფა, მეორე მხრივ — საზოგადოების რომელიღაც ნაწილის იგნორირება, მესამე მხრივ, რაც მთავარია — თვითონ თანხმობისა და შერიგების დეკლარაციის სულის უარყოფა. „პარლამენტის კონკრეტული ამოცანა ალბათ ისიც არის, რომ მოუწოდოს ყველა ორგანიზაციას, რომელიც პარლამენტს გარეთ დარჩა, მოუწოდოს ეროვნულ კონგრესს, მონაწილეობა მიიღონ ეროვნული თანხმობის დეკლარაციის შექმნაში, მოაწერონ მას ხელი".

კონსენსუსის გზა მაშინ უარყოფილ იქნა.

არც ისაა გასაკვირი, რომ პრინციპულად უკუგდებული აღმოჩნდა უპირველესი ამოცანა — „გადავზარდოთ ეროვნული მოძრაობა საერთო სახალხო მოძრაობაში".

ასე და ამგვარად არ იქნა განხორციელებული თანხმობის გზა — ჩვენი, ყველას, მიზნით.

იგი დღემდე განუხორციელებელი რჩებოდა.

აი, ამ ისტორიის პოზიციებიდან შეიძლება ითქვას, რომ თანხმობის მანიფესტის გამოჩენა ძალიან გვიან მოხდა, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში ე. შევარდნაძე ჩამოვიდა.

მაგრამ საკითხს სხვა მხარეც აქვს. თუ ამგვარი დეკლარაციის არგამოჩენა, თანხმობის იდეის უარყოფა თავის დროზე, ერთი მხრივ, ნეგატიური შედეგების მომტანი ექსპერიმენტი იყო, მეორე მხრივ, თვითონ ეს ფაქტი, ეს სამწუხარო განვითარება მოვლენებისა გარკვეული ისტორიული ეტაპი იყო, რომელმაც გარკვეული ისტორიული გამოცდილება შეგვძინა.

ამ პოზიციებიდან დღევანდელი გამოცხადება მანიფესტისა დროული მოვლენაა.

დროულზე დროულია იგი მომენტის პოზიციებიდანაც.

ერთი მხრივ — ჩვენი საერთაშორისო დამკვიდრების ეტაპის დამთავრება, რაც გაეროში გაწევრიანებას გულისხმობს.

მეორე მხრივ — საპარლამენტო არჩევნების პროცესის დაწყება, რაც იმას გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა შევუდგეთ იმ გზას, რომლის ბოლოსაც გვექნება ნამდვილი სახელმწიფოებრიობა, ნამდვილი სახელმწიფო, ნამდვილად ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი სტრუქტურები — ერთი სიტყვით, ის, რასაც ამდენი ხანია მიველტვით და რაც ამდენი ხანია ვერ მოვიპოვეთ.

როგორ უნდა ვიქცეოდეთ ამგვარ ვითარებაში?

მანიფესტი ამ კითხვაზე პრინციპულ პასუხს გვაძლევს.

მასში ორი რადიკალურად განსხვავებული შესაძლებლობაა ნაგულისხმევი.

ერთია რეგლამენტაცია. თუ ჩვენ ვაწერთ ხელს მანიფესტს, მაშინ ჩვენ ვაწერთ ხელს ჩვენი ქცევის გარკვეულ რეგლამენტირებასაც. ჩვენ ჩვენს საკუთარ თავებად ვრჩებით, მაგრამ ვითვალისწინებთ იმასაც, რომ არსებობენ სხვებიც, რომლებთანაც ჩვენ გარკვეულ შეთანხმებაში შევდივართ, მთლიანობაში კი ერთად ვქმნით ახალ წესრიგს.

ეს რეგლამენტირება მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა. კონკრეტულად კი მანიფესტი თავისუფლებას იძლევა. მანიფესტი იმას ნიშნავს, რომ პრინციპულად იწყება ახალი ცხოვრება და ახალი წესრიგი. ახალი ცხოვრების და ახალი წესრიგის დაწყება იმას ნიშნავს, რომ ვერავის ვერ წაერთმევა უფლება მიიღოს მონაწილეობა ამ განახლებაში და ამ ცხოვრებაში, არავის აქვს უფლება, გადაელობოს ვინმე ამ გზაზე. ყოველივე ეს ერთად კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი პრინციპულადაა დაწყებული და ყველანი პრინციპულად ვართ გათანაბრებული პირობებშიც, უფლებებშიც, მოვალეობებშიც. იქმნება სიტუაცია, როდესაც ყველანი — პიროვნებებიც და პარტიებიც — საწყის, სასტარტო პოზიციებზე ვბრუნდებით. იქმნება სიტუაცია, როდესაც ყველას შეგვიძლია ნულიდან დავიწყოთ ცხოვრება, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

ეს საყოველთაო გათანაბრებაცაა და თავისუფლებაც.

კარგია თუ არა ეს? ეს არც კარგია, არც ცუდია — ეს საჭიროა.

ხოლო გაწონასწორების ფაქტორს ამ შემთხვევაში მანიფესტის გამიზნული ორსახეობა წარმოადგენს.

ერთი მხრივ, გათანაბრების და თავისუფლების გამოცხადება იმის რისკს ქმნის, რომ ჩვენი ქმედებანი კონსტრუქციულ კალაპოტშიც შეიძლება წარიმართოს და დესტრუქციულშიც, ჩვენი სვლა წინსვლაც იყოს ახალი წესრიგისაკენ და უკუსვლაც ძველისკენ.

მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგადი რეგლამენტირების მიღება იმის საწინდარს ქმნის, რომ ჩვენი მოქმედებანი ურთიერთგათვალისწინების საფუძველს დაემყარება, ურთიერთის და აღებული ვალდებულებების პატივისცემას დაეფუძნება, საზოგადოებაზე, როგორც მთელზე, და არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, ორიენტირებას გაითვალისწინებს; ყველაფერმა ამან უნდა აწონ-დაწონილი და არა ყველანაირი ნაბიჯები გადაგვადგმევინოს — მითუმეტეს, რომ გამოცხადებული მანიფესტი ურთიერთპატივების მანიფესტია.

საბოლოოდ, თუ ცნობილი ფორმულის პერიფრაზირებას მოვახდენთ, მივიღებთ ასეთს: „ჩვენთვის ყველაფერია დასაშვები, გარდა იმისა, რასაც არ უშვებს მანიფესტი". რა თქმა უნდა, თუ საზოგადოება მანიფესტს შეუერთდება. ასეთი ფორმულა გაცილებით ცხოველუნარიანია, ვიდრე ის იდეები, რომლებიც თავის დროზე თანხმობის დეკლარაციაში იყო ჩადებული (თავს უფლებას ვაძლევ, გავიხსენო, რომ სამოქალაქო თანხმობის დეკლარაციის იდეა ამას წინათაც გავიმეორე — „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე).

ვალდებულებებს ჩვენ არ უნდა გავექცეთ. საზოგადოება სხვანაირად ვერ იარსებებს.

თუ ლოგიკის ენაზე ვიმსჯელებთ, 1921 წლის კონსტიტუციის განახლება, ეს არის რესტიტუციის აქტი ზოგადად. ერს, მის შეგნებას ის კონსტიტუცია უკვე დავიწყებული აქვს. ახალ პროცესებში რეალური ჩართვის საშუალებას ახალი მანიფესტი იძლევა.

ეს მაინც დასაწყისია.

დასასრული ახალმა პარლამენტმა უნდა შექმნას.

ამიტომ არის ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული — ჩვენ ყველანი ამომრჩევლები ვართ. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი ამომრჩევლები. არ არის გამორიცხული, რომ ჯერ კიდევ მოუმზადებელ ამომრჩევლებად ვრჩებით. არც ის არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური ელიტაც არ არის ჯერ ჩამოყალიბებული. ამ შემთხვევაში სათანადოდ მოუმზადებელმა ამომრჩეველმა სათანადოდ ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური ელიტა უნდა აირჩიოს. თუ ეს ასეა, ეს რეალობა იქნება, მაგრამ — ისეთი, რომელიც არ გვაძლევს უფლებას შეცდომა დავუშვათ, თუნდაც ამისათვის დაგვჭირდეს საკუთარ თავზე უფრო მაღალ სიმაღლეს გადავახტეთ.

მანიფესტი ედუარდ შევარდნაძის პირმშოა, იგი მისი პროგრამაა. იგი ან საზოგადოებრივი რეფორმის დასაწყისია, ან რეფორმის გაგრძელებაა, თუ ჩავთვლით, რომ რეფორმების პროცესი უკვე დაიწყო. ჩვენ არა გვაქვს უფლება — არც ზნეობის, არც მოქალაქეობრიობის, არც პატრიოტიზმის პოზიციებიდან — არ გამოვეხმაუროთ მას. ოღონდ არა მხოლოდ სიტყვით — აუცილებლად საქმითაც, თუნდაც ძალიან ძნელი იყოს ამისათვის ემოციების, მათ შორის ობიექტურად აღმოცენებული ემოციების, დათრგუნვა.

რა თქმა უნდა, ყველანი რთულ მდგომარეობაში და რთულ პირობებში ვცხოვრობთ.

რთულ მდგომარეობაშია მანიფესტის ავტორიც. იგი, ერთი მხრივ, ახალ საზოგადოებრივ წესრიგს და ახალ საურთიერთობო ენას გვთავაზობს. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ შემოთავაზებით და ამ პროგრამით დასასრულს უქმნის საქართველოში თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპს. ეს იყო გლობალური წესრიგის მაძიებლის მოღვაწეობა, ამდენად — იმ ადამიანის მოღვაწეობა, რომელიც გარკვეულწილად პარტიებსა და პოლიტიკოსებზე ზემოთ იდგა და ერთგვარი მომრიგებლის პოზიციაში იმყოფებოდა. ამგვარი მოღვაწეობის გვირგვინი სწორედ სამშვიდობო მანიფესტი შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი გამოქვეყნების შემდეგ შევარდნაძისათვის საქართველოში მოღვაწეობის თვისებრივად ახალი ეტაპი დგება — იგი უნდა შეუერთდეს მატერიალიზებულ პოლიტიკურ პაექრობას, რომელიც ალბათ ძალიან მწვავე იქნება საარჩევნო პერიოდში. უფრო მეტიც, არსებულ, მეტად რთულ და ჭრელ, პოლიტიკურ სპექტრში განსაზღვროს თავისი ადგილი, რაც ალბათ ცალსახად გულისხმობს საკუთარი ბლოკისა და საკუთარი გუნდის განსაზღვრას.

დეტერმინირებულნი ყველანი ვიქნებით, განზე ვერავინ გადგება. ოღონდ ყველას არამარტო საკუთარი სურვილები უნდა გვქონდეს შეგნებული, არამედ საკუთარი შესაძლებლობები და საზოგადოებრივი აუცილებლობანი.

ფქვილი — აფხაზეთის მოსახლეობას

სოხუმში, გაგრაში, ზუგდიდში, სენაკში ფქვილის ნაკლებობის მწვავე პრობლემა თანდათანობით სწორდება. მაგალითად, ფოთში ჩამოვიდა ხომალდი, რომელმაც რამდენიმე ათასი ტონა ფქვილი ჩამოიტანა. აქედან მისი ნაწილი აფხაზეთში, აჭარაში, თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებში გაიგზავნება. ეს ითქვა მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე.

მისმა მონაწილეებმა დასახეს პირველი საჭიროების პროდუქტებით რესპუბლიკის მცხოვრებთა უზრუნველყოფის მთელი რიგი სხვა ღონისძიებანიც. კერძოდ, გამოიძებნა საწვავი კახეთის რაიონებში ხორბლის მოსავლის ასაღებად, სოხუმის წისქვილკომბინატის მუშაობის აღდგენის და ადლერის მხრიდან, ქალაქ გაგრის ზონაში პურის შეტანის შესაძლებლობანი. სხდომაზე საუბარი იყო იმაზეც, თუ როგორ დააჩქარონ თურქეთიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით ხუთი ათასი ტონა მარცვლეულისა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ასი ათასი ტონა ხორბლის მიღება.

აღინიშნა, რომ უბენზინობის გამო, რამდენადმე შეფერხდა ბოლნისის რაიონიდან დედაქალაქში კარტოფილის შემოტანა, სამაგიეროდ, იგი უფრო მეტი გააქვთ აზერბაიჯანსა და სომხეთში. ამასობაში კი, თბილისის ბაზრებში საგრძნობლად გაძვირდა კარტოფილი. გადაწყდა, შეუთანხმდნენ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს, ხელისუფალთ ჩვენი ქვეყნის საჭიროებებისთვის ამ რესურსების შენახვის თაობაზე. მის ფარგლებს გარეთ უნდა განხორციელდეს ალკოჰოლიანი სასმელების პარტიის ბარტერული გაცვლა ხახვისა და ნივრის ეკვივალენტურ მოცულობაზე.

კომისიაზე განიხილეს აგრეთვე, საქონლის გატანის ლიცენზირების მექანიზმის სრულყოფის, ამ სფეროში სახელმწიფო დისციპლინის გაძლიერების, საქართველოს საზღვრებზე საბაჟოთა შექმნის დაჩქარების და ზოგიერთი სხვა საკითხი.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა **ოთარ ქვილითაიამ.**

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **რომან გოცირიძე.**

მომავლის ბედი დღეს წყდება

ქარხნის ახალი სიცოცხლე

საბაზრო ეკონომიკა და საწარმო

ოთარ ხუციშვილი

ცხოვრებაში დგება ხოლმე პერიოდები, როცა ირგვლივ ყველაფერი ბურუსს მოუცავს და წარმოუდგენლად ჭირს გზის გაგნება. ჩვენ ახლა სწორედ ასეთ სიტუაციაში ვიმყოფებით. ტოტალიტარული რეჟიმი და მისი სტრუქტურები დაინგრა, ახალი, საბაზრო ურთიერთობები კი ჯერ არ შექმნილა. ასეთ დროს, თუ ფხიანად მოიქცევი, ცხოვრებას მოერგები, გახვალ სამშვიდობოს, თუ არა და, დაიღუპები, — გავუზიარე ჩემი მოსაზრება თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის გენერალურ დირექტორს ბატონ ზურაბ ჩიხლაძეს. დამეთანხმა და დაწყებული საუბარი თვითონ გააგრძელა:



— **ქარხანაში** ამ ერთი წლის წინათ მოვედი. საწარმოში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არ მქონდა, თორემ პროფესიულად მის სპეციფიკაში საკმაოდ ღრმად ვიყავი ჩახედული. ვარ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, წლების მანძილზე ვმუშაობდი ჩარხმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სადაც საფუძვლიანად დავეუფლე დარგის სპეციფიკას.

როგორი დამხვდა საწარმო? ერთიანად პარალიზებული, მატერიალურად და ფინანსურად დაძაბუნებულ-გაკოტრებული, რომელიც ვითომ ფეხზე იდგა და ვეღარც იდგა. მთლიანად მოშლილი იყო საწარმოო და საფინანსო დისციპლინა, ქარხანას ვალები ახრჩობდა.

რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე, ძნელი ასახსნელი არ არის, საწარმო საკავშირო სამინისტროს ექვემდებარებოდა და კოლექტივი უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდა. მას არც ნედლეულის მოძიება უხდებოდა და არც გასაღების ბაზრისა. იყო მზამზარეული გეგმები, ცენტრალიზებული ნედლეული, გასაღების უცვლელი ბაზარი და გარანტირებული ანაზღაურება. სამინისტრო სასწავლებლების გარკვეულ ჯგუფს ბიუჯეტიდან გამოუყოფდა გარკვეულ თანხას და ქარხანაც ვალდებული იყო მათგან შეკვეთილი პროდუქცია დაემზადებინა. მე თქვენ გეტყვით, არ გასაღდებოდა. ამ ტიპის საწარმო ერთადერთი იყო მთელ საბჭოეთში და მისი პროდუქცია ქვეყნის ყველა კუთხეში იგზავნებოდა.

გაინტერესებთ არა, რა იგზავნებოდა? ძირითადად, პროგრამული მართვის ჩარხები, რომელსაც უმაღლესი და პროფტექნიკური სასწავლებლები იყენებდნენ. უშვებდნენ აგრეთვე მაგიდებს, მერხებს, მაკეტებს საინჟინრო სწავლებისათვის. მზადდებოდა კარადებიც, რომლებშიც ყველა სახის ინსტრუმენტი ეწყო, თუმცა, მას სრულყოფილი სახით ვერც ერთ სასწავლებელში ვერ ნახავდით. მიჰქონდათ, შლიდნენ და ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე იყენებდა.

და აი, დადგა დრო, როცა ეს პროდუქცია აღარავის უნდოდა. განა იმიტომ, რომ არ სჭირდებოდათ, უბრალოდ, თანხა აღარ ჰქონდათ. ჯერ ერთი, სახელმწიფომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს ასეთი პროდუქციის შესაძენად დაფინანსება შეუწყვიტა, და მეორეც, ნედლეულის გაძვირების გამო, თვით პროდუქციას ისეთი ფასი დაედო, ზედ აღარავინ უყურებდა. წარმოიშვა სხვა სიძნელეც — რეალიზატორები გადახდისუუნარონი შეიქნენ, წაღებულ პროდუქციაში საწარმოს საფასურს აღარ უხდიდნენ. რა უნდა ექნათ, იქით, რომ ვეღარაფერს გახდნენ, აქეთ თვითონ აიღეს 2 მილიონამდე ვალი.

აი, ასეთ სიტუაციაში მომიხდა სამუშაოს დაწყება, მეტი რა გზა იყო, გამოსავალი უნდა მომეძებნა, და კოლექტივთან ერთად დავიწყე კიდეც ძიება. პირველ რიგში, რაც გავაკეთეთ, ის იყო, რომ პროდუქცია, რომელიც ვიცოდით ნამდვილად გასაღდებოდა, წარმოებიდან არ მოვხსენით. აქედან გარკვეული შემოსავალი მივიღეთ, თანაც ვიზრუნეთ დებიტორულ დავალიანებათა ამოღებისათვის, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. დებიტორები ხომ საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ გაბნეული.

მონდომებამ, მოქნილმა სამეურნეო კონტაქტებმა თავისი გაიტანეს. ვალიც გავისტუმრეთ და იმასაც მივაღწიეთ, რომ ხელფასებს ერთ თვეზე მეტი არასოდეს დაუგვიანია. წლეულს, მუშაკთა ანაზღაურება სამჯერ გავზარდეთ. მართალია, ამჟამად საშუალო ხელფასი 1500 მანეთია, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ახალ პროდუქციაზე გაანგარიშებით მალე იგი 3000 მანეთს მიაღწევს. დავასრულებთ საცხოვრებელი სახლის მშენებლობასაც, რითაც ჩვენი თანამშრომლების უბინაობის პრობლემას 70 პროცენტით მაინც გადავწყვეტთ.

— კიდევ რის გაკეთება შესძელით?

— საკმაოდ ბევრი რამისა. როცა გავაანალიზეთ საწარმოში შექმნილი მდგომარეობა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ქარხნისათვის პროფილი უნდა შეგვეცვალა, რადგან ძველი ყველაფერი დაირღვა, ყავლი გაუვიდა, მომარაგებაც შეგვიწყდა და გასაღების ბაზარიც მოიშალა, მეტი რა გზა დაგვრჩენოდა, ახალი პროდუქციის შექმნაზე უნდა გვეზრუნა. თანაც, ისეთი პროდუქციის შექმნაზე, რომელიც პრესტიჟული იქნებოდა, კონკურენტუნარიანი და მოთხოვნილებამზარდიც.

უპირველესად, უნდა შეგვეცვალა ჩვენი ძირითადი პროდუქცია — უნივერსალური პროგრამული მართვის ჩარხი, რომელიც აქამდე მხოლოდ სასწავლო დანიშნულებით გამოიყენებოდა. იგი სასწავლო ჩარხიდან უნდა გადაგვექცია მუშა ჩარხად, ისეთად, რომელსაც სახალხო მეურნეობის ნებისმიერ სფეროში გამოიყენებდნენ. ასეც მოვიქეცით. ავითვისეთ ლითონის, ხისდამმუშავებელი, ერთ და ორმოდულიანი ჩუქურთმის მომჭრელი, მაგიდის საბურღი, სალესი ჩარხები, საზეინკლო გირაგები, რომელთა საცდელი ნიმუშები უკვე მზადდება. ეს ის პროდუქცია გახლავთ, რომელზეც ყველგან და ყოველთვის იქნება მოთხოვნილება.

ადრე ჩვენთან იწყებოდა ჩარხის სადგარების, სხვადასხვა დეტალების ჩამოსხმა, მათი შემდგომი მექანიკური დამუშავება და კომპლექტაცია კი საბჭოთის ყოფილ რესპუბლიკებში გრძელდებოდა. ძირითად საქმეს ჩვენ გვაკეთებინებდნენ, პროდუქციას საბოლოო სახეს კი ისინი აძლევდნენ და შემოსავალსაც თვითონ იჯიბავდნენ. ახლა მთლიანი ციკლი — სხმულიდან მზა პროდუქციამდე, ჩვენთან დამუშავდება.

ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და მათი სპეციალისტების დახმარებით, სამსხმელო საამქროში დაწყებულია სამუშაოები ბიმეტალური მასალების გამოსადნობად. არსებულ სწრაფმჭრელ ფოლადთან შედარებით, რომელიც რუსეთიდან შემოგვქონდა რესპუბლიკაში და მამასისხლად გვიჯდებოდა, ეს მასალები ჩვენს ინსტრუმენტულ საწარმოებს იაფიც დაუჯდებათ და უფრო გამძლეც იქნება.

ამასთან, საწარმოში დაწყებულია ფართო მოხმარების ავეჯის გამოშვების სამუშაოები. ხისდამმუშავებელი საამქრო, რომელიც წინათ სასწავლო მაგიდებს, კარადებს და მერხებს ამზადებდა, ახლა მასობრივად გამოუშვებს ძველი ქართული ჩუქურთმით დამშვენებულ თანამედროვე ავეჯს, რომელსაც კარგი ბაზარი უნდა ექნეს.

დღეს, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებით ჩვენი გლეხობა ნაკლებად არის განებივრებული, მაგრამ იმასაც, ვისაც აქვს გუთანი, სახნისი, კულტივატორი, თუ გაფუჭდა, ვერსად ვერ იშოვის. ჰოდა, რახან ასე ჭირს, გადავწყვიტეთ, მიწის რეფორმას პრაქტიკული დახმარება აღმოვუჩინოთ და ამ ტრაქტორების ტექნოლოგიური აღჭურვილობა ჩვენს ქარხანაში დავამზადოთ, იგი უკვე ათვისებულია და ახლა გამოცდას გადის. მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები ასანთის წარმოების ასათვისებლად, რომელიც ერთადერთი იქნება ამიერკავკასიაში.

სულ მალე საწარმო გამოუშვებს საოჯახო შედუღების აპარატების პირველ პარტიას, რომელიც 220 ვოლტზეც იმუშავებს და 380-ზეც. და საერთოდ, სექტემბრის ბოლოს ქარხანა უკვე შეუდგება მთელი იმ პროდუქციის დამზადებას, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ. ეს საშუალებას მოგვცემს, კოლექტივმა თავიც ირჩინოს და მოგებაც დააგროვოს. რა თქმა უნდა, ეს ის მოგება არ არის, ადრე სახელმწიფო ვითომ რომ გვაძლევდა და მისი 85 პროცენტი ისევ უკან მიჰქონდა. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის 28 პროცენტიდან 14 პროცენტამდე შემცირებაც, ბუნებრივია, მუშაკთა დაინტერესებას რეალურად გაზრდის.

აი, კიდევ რა მინდოდა მეთქვა: ენერგეტიკულმა ბლოკადამ, რომელიც განვლილ ზამთარს მოგვიწყვეს, სხვებთან ერთად, ჩვენც დიდად გვაზარალა. გასაჭირი მეტად რომ აღარ ვიწვნიოთ, უკვე შევიძინეთ საწარმოს ავტონომიური ენერგოკვების გენერატორი. ახლა ვფიქრობთ, ის დამატებითი წყაროებით გავაძლიეროთ, რათა გაჭირვების ჟამს, ქარხნის მთელ სიმძლავრეებს ეყოს.

ვზრუნავთ საკუთარი მეურნეობის შექმნისთვისაც, მალე გამოგვიყოფენ მიწის ფართობს, სადაც მოვაწყობთ სათბურებს, მოვიყვანთ ბოსტნეულსა და სხვა პროდუქტებს. ისინი ქარხნის სასადილოს უფასოდ გადაეცემა, ხოლო, რაც მორჩება, ხელმისაწვდომ ფასად მიეყიდება ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს...

• • •

ზოგ რამეს, რაც გენერალურ დირექტორს „გამორჩა", მე დავამატებ. ჩემი თვალით ვნახე და დავრწმუნდი, რომ საწარმომ გადაიგდო ადმინისტრაციული მართვის უღელი და განვითარების საკუთარ გზას დაადგა. მან 90 პროცენტით შეცვალა პროდუქცია, მისი ასორტიმენტი, მოძებნა საკუთარი გასაღების ბაზარი. ქარხნის პროდუქციაზე (ბიმეტალები) მოთხოვნილებაა იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში. სალესი ჩარხების და შედუღების აპარატების შეძენა სურთ თურქებს და პოლონელებს. ინდოელებმა გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ ბიმეტალების ჩამოსხმაში, რომლის ნაწილს თვითონ გაუკეთებენ რეალიზაციას.

იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ქარხანამ საკუთარი ვალუტა გაიჩინოს და ნედლეულის შეძენაზეც ამდენი დრო და სახსრები აღარ ხარჯოს. დღესდღეობით კი იძულებულია მიმართოს ბარტერულ გაცვლებს, რუსეთიდან შემოიტანოს კაბალური პირობებით ნაშოვნი ალუმინი, ფოლადი, თუჯი და სხვა ლითონები.

არის სხვა პერსპექტივაც. ქარხანაში იყვნენ ამერიკელი ბიზნესმენები, გაიმართა მოლაპარაკება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე, რომელიც გამოუშვებს მაცივრებს, მტვერსასრუტებს, სარეცხ მანქანებს. ეს ის პროდუქცია გახლავთ, რომელსაც არც ჩვენთან და არც საზღვარგარეთ მყიდველი არ დაელევა. შეთანხმების თანახმად, პროდუქციის ერთ ნაწილს ამერიკელები გაასაღებენ და საწარმოს თავის წილ ვალუტას მისცემენ. ვნახოთ, თუ ეს საქმე გამოვიდა, ქარხანაც წელში გაიმართება და კოლექტივიც.

საერთოდ, დრო მოვიდა ასეთი — ძიება, ფხიანობა, პარტნიორებთან საქმიანი კონტაქტები, მარკეტინგი დღეს ყველაფერს წყვეტს. კარგია, რომ საწარმოს თავკაცი ამ თვისებებს ქარხნისა და რესპუბლიკის სასიკეთოდ იყენებს.

წერილი რედაქციას

მოვაწესრიგოთ შრომის კანონმდებლობა

გივი ბახტაძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრი

პრესაში გამოქვეყნდა სახელმწიფო საბჭოს იურიდიული კომისიის წევრის ბატონ თეიმურაზ გეწაძის ვრცელი წერილი „პრობლემებზე შეულამაზებლად". ავტორი ეხება არა ერთ ისეთ საკითხს, რომელიც მართლაც პრობლემურია საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და ამ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პროცესებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა შრომის სამართლებრივ ურთიერთობათა სათანადოდ მოწესრიგება. მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა, სულ უფრო აშკარად ვლინდება წინააღმდეგობა ყოფილ საკავშირო შრომის კანონმდებლობასა და საზოგადოების დღევანდელ რეალურ მოთხოვნილებებს შორის. ისიც ცნობილია, რომ რესპუბლიკური კანონმდებლობაც მის უდიდეს ნაწილში მოსკოვში შედგენილი კანონების გადმოქართულება იყო მხოლოდ.

„ცენტრი" განსაზღვრავდა არა მარტო კანონთა შინაარსს, არამედ მისი გამოყენების კონკრეტულ პრაქტიკასაც: მოსკოვური, საკავშირო იყო არა მარტო კანონები, არამედ ამ კანონთა ოფიციალური კომენტარები, ინსტრუქციები, დებულებები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო დადგენილებები და სხვა. ნებისმიერი ცვლილება ნებადართული და მოწონებული უნდა ყოფილიყო „ცენტრის" მიერ, რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან განსხვავებული აზრის გამოთქმა და, განსაკუთრებით ამ აზრის პრაქტიკული რეალიზაციის მოთხოვნა, სამართლებრივ დისიდენტობად განიხილებოდა.

ეს, რა თქმა უნდა, არ უწყობდა ხელს რესპუბლიკებში დამოუკიდებელი შრომის სამართლებრივი აზრის განვითარებას, ქმნიდა საკავშირო ავტორიტარიზმისადმი მორჩილებას. ჩემი დაკვირვებით, აზროვნების განთავისუფლება უფრო რთულია, ვიდრე ეკონომიკური თუ სხვა დამოუკიდებლობის მიღწევა.

დღეს საქართველოში წამოწყებულია დამოუკიდებელი კანონმდებლობის შექმნის პროცესი, შექმნილია სამთავრობო კომისიები სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, საპროცესო კოდექსების პროექტების შესამუშავებლად.

მიზანშეწონილი იქნებოდა, გაგვეცნობიერებინა, რომ თუ არ გაჩაღდა მუშაობა შრომის კანონთა ახალი კოდექსის შესაქმნელად, სულ მალე აღმოვჩნდებით ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შრომის კანონმდებლობა შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი როლის მაგივრად მისი მუხრუჭის როლს შეასრულებს.

ბატონ თეიმურაზ გეწაძის წერილის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ავტორი მკითხველისათვის საცნაურს ხდის შრომის არსებული კანონმდებლობის არაქართულობასა და არადემოკრატიულობას. ავტორს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმაში, რომ არსებული შრომის კანონმდებლობა ფაქტობრივად გულისხმობს შრომის ურთიერთობებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდის უპირატესობას და არ ეყრდნობა შრომის სტიმულირების რამდენადმე დასაბუთებულ კონცეფციას.

ჩვენი წერილის მიზანი არ არის გავარჩიოთ ავტორის მიერ შემოთავაზებული ყველა წინადადება (ასეთი წინადადებები კი მრავალია). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მან დროულად და თამამად დასვა ყველა ის საკითხი, რომელიც საქართველოს მომავლით დაინტერესებულ ყოველ ჩვენთაგანს უნდა აწუხებდეს. ეს არის ადამიანის შრომის უფლებების რეალური უზრუნველყოფა, შრომით დაინტერესების საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა. ეს კი განსაკუთრებით საჭიროა სწორედ დღეს, როდესაც ესოდენ დაბალია დაძაბული შრომის მორალური და მატერიალური სტიმულები.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი არ არის წერილში გამოთქმული კონკრეტული წინადადებების ანალიზი (ეს დიდ ადგილს დაიჭერდა). ვიტყვით მხოლოდ, რომ ისინი ღირსია, სხვა შესაძლო წინადადებებთან ერთად განხილულ იქნეს პროფკავშირულ და სამართლის მუშაკთა მიერ. ჩემი აზრით, ამის საუკეთესო საშუალება იქნებოდა შრომის ახალი კანონმდებლობისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება.

პრაქტიკოს იურისტებს, პირველ რიგში, მოსამართლეებს, ბევრი რამ გვაქვს ამ მხრივ სათქმელი, ამიტომ ჩვენც სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას ამ ღონისძიებაში.

მწვავე სიგნალი

პრივატიზაციის პროცესებს მართვა სჭირდება,

ანუ როდესაც მავანნი ხალხის სახელით საქვეყნო საქმეს აზარალებენ

ზურაბ არსენიშვილი

ბოლო დროს თელავის რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ფართოდ გავრცელდა პირუტყვის დატაცება. მარტო კურდღელაურის მერძევეობის კომპლექსიდან ყოველგვარი საფასურის გადახდისა და აღრიცხვის გარეშე თვითნებურად გაყვანილია შვიდასამდე სული ძროხა და ხბო. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ კომპლექსიდან მარაგდებოდა თელავი რძით, და დღეს მომხმარებელი ე. წ. საკოლმეურნეო ბაზრის ანაბარა რჩება. გაურკვეველია საბიუჯეტო ორგანიზაციების — საავადმყოფოს, საბავშვო ბაღების ბედიც. არცთუ დიდი ხნის წინ, თელავში გამართულ რესპუბლიკის მთავრობის გამსვლელ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომპლექსში მეწველი ნახირის შენარჩუნების შესახებ.

კურდღელაურში დატრიალებული მოვლენები კიდევ ერთი ნიშანია (უკვე მერამდენე!), რომ პრივატიზაცია უმართავ ხასიათს იღებს. ამის დასტურია ისიც, რომ პირუტყვის დატაცების შემდეგ ხალხმა საკოლმეურნეო კალოზე გადაინაცვლა, თუმცა აქ წინააღმდეგობა დახვდათ და ვერ შეძლეს მარცვლის მითვისება. საერთოდ, რაიონში ძლიერ ფერხდება სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარება. ჯერჯერობით მხოლოდ ყარაჯალის მეურნეობამ მოიხადა პირნათლად ვალი და პურის მიმღებ საწარმოში 125 ტონა მარცვალი მიიტანა. არადა, კაჭრეთის წისქვილკომბინატიდან, საიდანაც მარაგდება რაიონი ფქვილით, დეპეშა დეპეშაზე მოდის. მისი ხელმძღვანელობა განკუთვნილი ხორბლის შეტანას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფქვილით მომარაგების შეზღუდვით იმუქრება.

ერთი სიტყვით, თელავის რაიონი დღეს მრავალი პრობლემის წინაშე დგას. ამან განაპირობა ოპერატიული შტაბის შექმნა, რომელსაც თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ბაღათრიშვილი ხელმძღვანელობს. შტაბის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, პირუტყვის დაბრუნება და შემდგომ მის კანონიერ საფუძველზე განაწილებაა. ამ მხრივ გადადგმულია სათანადო ნაბიჯები, გააქტიურდა ადგილობრივი პოლიცია და გვარდია. ხელშესახები შედეგებია მიღწეული სოფელ რუისპირში. თვით სოფელ კურდღელაურშიც შექმნილია ოცკაციანი კომისია და ნაწილი პირუტყვისა დაბრუნებულია.

პრივატიზაცია რომ აუცილებელი და საჭიროა, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ საქმის უკეთესობისაკენ საბოლოოდ შემობრუნებაზე საუბარი ჯერ ადრეა. ამ რამდენიმე დღის წინ სოფელ კონდოლის ბოლოს, ტყეში აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღით დახოცილი ათი ძროხა. ბოროტმოქმედთა საქციელი არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ თითქმის ყველა სოფელში არის ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ხალხის ინტერესთა დაცვის მომიზეზებით ცდილობენ პირვანდელი აზრი და მიზანი დაუკარგონ მიმდინარე რეფორმებს. ეს კი ქვეყნის საზიანოდ ტრიალდება, რომლის სიძლიერის გარეშეც ყოველი ჩვენთაგანის კეთილდღეობა შეუძლებელია.

კერძო ფირმა ყიდის:

1. მოძრავ სახერხ დანადგარს (პილორამა) თავისი ელექტროსადგურით. დასაშვებია მისი სტაციონალურად დამონტაჟება.
2. აგარაკს მცხეთის რაიონში თავის ხეხილის ბაღით.
3. ავტომანქანა ზილ-130 (ნახმარი).
4. ავტოცისტერნა მაზ-5337, რომელიც გამოიყენება ღვინის, წყლის და ბენზინის საზიდად (ახალი).

ტელეფონი: 37-42-10,
დარეკეთ 9-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საიდუმლო ხვალინდელი საქართველოა

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია. რა ამოცანები უნდა გადაჭრას მან, რა ფუნქციებს შეასრულებს და როგორ აპირებს სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ეროვნული სისტემის შექმნას? ამ საკითხების გასარკვევად ჩვენ ვესაუბრეთ ინსპექციის უფროსს ბატონ გიორგი ნაჭყებიას.



— ბატონო გიორგი, რამ განაპირობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის ახალი სისტემის შექმნა?

— თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ ჰქონდეს სახელმწიფო, სამხედრო, ეკონომიკურ, კომერციულ და სხვა საიდუმლოებათა დაცვის საკუთარი სისტემა. ისტორიულად სახელმწიფო საიდუმლოება და სახელმწიფო ერთად იშვნენ. დღეს საიდუმლოებანი აქვთ როგორც ძლიერ, ისე სუსტ სახელმწიფოებს, როგორც განვითარებულს, ისე განვითარებადს. ამ უკანასკნელთ უფრო მეტად მართებთ საკუთარი სისუსტის დაფარვა. სახელმწიფოს განვითარების, მართვის შინაარსის შეცვლასთან დაკავშირებით იცვლება საიდუმლოების დაცვის სისტემაც. იგივე პროცესი მიმდინარეობს დღეს საქართველოშიც და ეს არც არის გასაკვირი. გარდა ამისა, ინსპექციის შექმნა განაპირობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მიღებამ, რომლის ძალითაც იკრძალება სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება.

ბუნებრივია, ყველაფერს მოყვარესაც ვერ ეტყვი, და მით უმეტეს — მეტოქეს.

— დიდებულად არის ნათქვამი. „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო". ცხადია, სათქმელი უნდა ითქვას. მაგრამ თავი უნდა შევიკავოთ ისეთი თქმისგან, უფრო სწორედ, ნაადრევი თქმისგან, რომელიც თვით თავისუფლებასა და დემოკრატიას, ერის ინტერესებს მიაყენებს ზიანს.

მე, როგორც ჟურნალისტს, კარგად მესმის, რომ ჩემს კოლეგებს ყოველთვის აინტერესებთ სიახლე, ცინცხალი ამბავი. ჟურნალისტი მაძიებელია, აქვს „ყნოსვა", მისი პროფესიული მოწოდებაა გახსნას საიდუმლო... მკითხველიც ასეთ მასალას ინტერესით ელოდება გაზეთში, ტელეეკრანზე თუ რადიოში. მაგრამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც იტყვიან, „დაუკრეფავში გადასვლა" ყოველთვის არ არის გამართლებული. ცხადია, მე ვგულისხმობ კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების აკრძალვას, და არა ძველებურად ჟურნალისტებისთვის ე. წ. კრიტიკის აკრძალული ზონების შექმნას. ე. ი. დემოკრატია ნიშნავს თავისუფლებას მხოლოდ კანონის ფარგლებში. კანონის წინაშე არც ხელისუფლებას და არც მოქალაქეს არა აქვს რაიმე პრივილეგია. ნებადართულია მხოლოდ ის, რაც კანონით აკრძალული არ არის.

მაგალითისთვის ავიღოთ სამეცნიერო-ტექნიკურ საიდუმლოებათა სფერო. საქართველო დიდი სამეცნიერო-ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანაა, მაგრამ ეკონომიკურად ჯერ კიდევ სუსტია. ამიტომ, როგორც საერთოდ ხდება ასეთ ვითარებაში, ტექნიკური აზრის ხორცშესხმა წარმოებაში ჭიანურდება. გამოგონების ავტორი კი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე მიიღოს შედეგი, მატერიალური და მორალური უკუგება. სახელმწიფოს ხელს არ აძლევს თავისი სწავლულების, კონსტრუქტორების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების „ნოუჰაუს" გაყიდვა გროშების, ან კიდევ გაზეთის, თუ ჟურნალის ნომინალის ფასად. ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერო პოტენციალი შეადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

ამ დარგში ჩვენი მუშაობის მთავარი პრინციპი იქნება: თითოეული ახალი ტექნიკური იდეა, გამოგონება და აღმოჩენა — ერის ინტერესების სამსახურში! როგორც ეს ხდება ყველა ნორმალურ სახელმწიფოში. დღეს საქართველოში ასეთი „ინტელექტუალური კაპიტალი" ჯერ უნდა დაპატენტდეს და მერე ლიცენზიის სახით გავიდეს ჩვენი ეროვნული საზღვრებიდან. ჩვენს დაცარიელებულ ხაზინას მან ვალუტა უნდა შესძინოს, ან გაიცვალოს ტოლფასოვან ლიცენზიაზე, რომელთა გაუთვალისწინებლად საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში მსოფლიო ბაზარზე ვერ გავალთ.

სამწუხაროდ, ამ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში ქართულ მეცნიერულ აზრს სხვის სახარგებლოდ ხდიდნენ ნალებს.

— მართალი ბრძანდებით. სხვას რომ შენი სამეცნიერო ეკონომიური პოტენციალის „ნალები" არ მოახდევინო, ეს არის სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია. და სწორედ რესპუბლიკის მთავრობამ ეს ფუნქცია — სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ორგანიზაცია — დაავალა ჩვენს ახალშექმნილ ინსპექციას. დღეს პოლიტიკური ცენზურა კანონით აკრძალულია. მაგრამ სახელმწიფო საიდუმლოებისგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაფილტვრა ასევე კანონის საფუძველზე ევალება ყველას, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობით ან შემთხვევით საქმე ექნება საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, საერთაშორისო-კომერციული, სამეცნიერო-ტექნიკური ინტერესების შემლახველ მასალებთან.

რა სამსახური ასრულებდა ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ფუნქციას, სანამ თქვენი ინსპექცია შეიქმნებოდა?

— ყოფილ საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა ცენზურის საკავშირო სისტემა, რომლის ოფიციალური სტრუქტურა იყო მთავლიტი. ჩვენ, ჟურნალისტებს, შემოქმედებითი დარგის მუშაკებს, მთავლიტის ხსენებაც თავისებურად გვზარავდა და მისდამი ნამდვილი ალერგია გვქონდა (არ იქნება უადგილო, თუ ვიტყვით, თვით მთავლიტის მუშაკებსაც). ეს იყო იდეოლოგიაში მმართველი პარტიის „ფხიზელი თვალი"; ლაგამმიშვებული ორგანო, რომ ლაგამი ამოედო საზოგადოებრივი აზრისთვის. სამწუხაროდ, ათეული წლების მანძილზე მას ჰქონდა მონოპოლიური უფლება „საკუთარი აზრი" შეეტანა, ან ყადაღა დაედო სხვისი აზრისთვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი ცელივით ასწორებდა საზოგადოებრივი აზრის მინდორს, რომ მასზე დაუბრკოლებლივ ეჭირითა ტოტალიტარიზმს!

მთავლიტის სახელწოდებაში ასევე ჩადებული იყო ძირითადი ფუნქცია — ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა. ასევე იგი აკონტროლებდა სახელმწიფო საგამომცემლო კანონმდებლობისა და პოლიგრაფიულ საწარმოთა ფუნქციონირების განმსაზღვრელი „ერთიანი წესების" შესრულებას. ტოტალიტარული რეჟიმის ერთპარტიული სისტემა მისგან მოითხოვდა გაბატონებული სახელმწიფო იდეოლოგიის დაცვასაც.

მრავალპარტიულ სისტემაში შეუძლებელია ერთ სტრუქტურას დაევალოს ცალკე რომელიმე პარტიის ინტერესის დაცვა. ჩვენი ინსპექციის შექმნის საფუძველშივე ჩადებულია ერთი ინტერესი, ერთი მიზანი — მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა. ე. ი. ჩვენი საიდუმლო ხვალინდელი საქართველოა. ინსპექციის საქმიანობის შინაარსი სრულიად ახალია და დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ინსპექციამ, როგორც რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთმა ინსტრუმენტმა, თავისი ადგილობრივი ვერტიკალური სტრუქტურებით საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფო დისციპლინისა და ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. ამიტომაც ამიერიდან იგი თავისუფალია, და ღმერთმა დაგვიფაროს რამე აკავშირებდეს იმპერიული მთავლიტის მძიმე მემკვიდრეობასთან. სახელმწიფო ინსპექცია ჟურნალისტებისთვის, ყოველი შემოქმედებითი დარგის მუშაკისთვის ერთგული მეგობარი და თანაშემწე იქნება იმ დიდ და საერთო მარადიული ჭაპანის ზიდვაში, რომელსაც საქართველო ჰქვია. აქ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ ვის კი არა, არამედ ვინ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სამშობლოს. და სწორედ აქ გამოჩნდება ჭეშმარიტი ქართველი!

ჩვენ, რედაქციის მუშაკები, ვხედავთ, რომ თქვენი წარმომადგენლები ორი წელია, საიდუმლოებათა დაცვის საკითხებში თითქმის კონსულტანტებად არიან, როგორი იქნება უახლოეს მომავალში თქვენი საქმიანობა?

— როგორც მოგეხსენებათ, ძველი სტრუქტურები იმპერიული სახელმწიფოს საიდუმლოებებს იცავდა. ცენტრი თვითონ ადგენდა გასამჟღავნებლად აკრძალული საკითხებისა და პრობლემების ზოგად სიას, ისე, როგორც მას აძლევდა ხელს, ცხადია, ძველი ნუსხები, დირექტივები ჩვენ არ გამოგვადგება. ამით ვერ დავიცავთ ეროვნული ქართული სახელმწიფოს საიდუმლოებებს. უახლოეს მომავალში რესპუბლიკის მთავრობა განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენი ინსპექციის დებულებას, რომელშიც კონკრეტულად განისაზღვრება ჩვენი უფლება-მოვალეობანი, სტრუქტურა, ადგილობრივი ორგანოები და სხვ.). უდავოდ, იქნება არსებითი ცვლილებები საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენი მუშაობის პირველ ხანებში უმთავრეს ამოცანად გვესახება მეთოდიკური დახმარების გაწევა სამინისტროების, უწყებების და მსხვილი ორგანიზაციებისათვის საუწყებო საიდუმლოებათა ნუსხის შედგენაში. და როცა შედგება ასეთი ნუსხები, დაიწყება ერთიანი რესპუბლიკური მნიშვნელობის დოკუმენტის „ბეჭდვით სიტყვაში გამოსაქვეყნებლად აკრძალულ ცნობათა ნუსხის" შედგენა.

ეს საქმე საპასუხისმგებლო და საჭიროა?

— უდავოდ! ახალშექმნილი საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია არა მარტო უხელმძღვანელებს სპეციალური ნუსხებისა და დირექტივების შედგენა-დაბეჭდვას, მოამარაგებს ამ დოკუმენტებით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო, საუწყებო და კომერციულ საიდუმლოებებს, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება ადგილზევე ჩაატარონ გამოსაქვეყნებლად გამიზნული მასალების კომპეტენტური ექსპერტიზა. საექსპერტო კომისიები ჩვენი წარმომადგენლების დახმარებით ადგილზევე გაფილტრავენ გამოსაქვეყნებელ მასალებს საიდუმლო ცნობებისგან.

ვინაიდან პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტით რედაქცია-გამომცემლობებს უშუალოდ ევალებათ არ დაუშვან საიდუმლო ცნობების გამოქვეყნება, ყველა საჭიროდ ჩათვლის ითანამშრომლოს ჩვენთან. ისინი მიიღებენ „ნუსხას" და სადირექტივო დოკუმენტებს ამ დარგში, აგრეთვე კონსულტაციებს. მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ჩვენთან საიდუმლოებათა დაცვის დარგში ექსპერტიზისთვის რთული მასალები. ჩვენი დასკვნები „მასალა არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას" ან „შეიცავს ამა და ამ გვერდზე ამა და ამ პარაგრაფით აკრძალულ ცნობას" — გააადვილებს მათ მუშაობას.

მოკლედ რომ ვთქვათ, რაც უფრო მჭიდრო იქნება მომავალში სახელმწიფო ინსპექციასთან ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კავშირი, ურთიერთკონსულტაციები, მით უფრო ნაკლები იქნება დარღვევები, ადვილად ავიცილებთ თავიდან სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამოდის, რომ გამოსაქვეყნებელ მასალებზე ეგრეთწოდებული პირველადი კონტროლი, რომელსაც წინათ საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, მოხსნილია. თუ გააჩნია — ვის როგორ?

— შეიძლება, მართლაც, პირობითად ითქვას — ვის როგორ. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მეოთხე მუხლის ექვსივე პუნქტის (ის რაც კანონით იკრძალება: ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება; ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება; გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდა; დ) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს; ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნების ღირსების ხელყოფა; ვ) პორნოგრაფიის, უზნეობის პროპაგანდა) დაცვა უშუალოდ ეკისრებათ რედაქცია-გამომცემლობებს, მაგრამ ვინაიდან პირველი პუნქტის შესრულება შეუძლებელია პროფესიული მომზადების გარეშე (ჩვენთან ამ დარგის კარგი სპეციალისტები მუშაობის მე-4 -5 წელს ხდებიან), რედაქცია-გამომცემლობების მუშაკებს მეთოდიკურ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი სპეციალისტებით.

ჩვენი ინსპექცია განახორციელებს გამოქვეყნებული მასალების შემდგომ კონტროლს კანონის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის შესრულებისადმი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კანონის ამ პუნქტს დაიცავენ ჩვენი დახმარებით. ამისთვის ყველა გამოცემის საკონტროლო ეგზემპლარი დროულად უნდა გამოიგზავნოს ჩვენთან,

ხოლო კიდევ ერთი კითხვა: თქვენ როგორც ჟურნალისტს, გაზეთის რედაქციაში დიდ ხანს ნამუშევარს, წმინდა პროფესიონალის თვალით რა უფრო გეხამუშებათ დღევანდელობის თვალსაზრისით ჩვენს სფეროში?

— საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მოძრაობამ მთელი თავისი შესაძლებლობით გამოაჩინა ნიჭი და ეროვნული ენერგია. ეს კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე განსაკუთრებით იძალა პოლიტიკამ და ქვეყნის ბედის ბერკეტზე ხელის წავლება სცადა ყველამ — შეუძლია, თუ არ შეუძლია. ანდაზისა არ იყოს, ლამის კუმფები გამოყოს — მეც ნახირნახირო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მეტ-ნაკლებად გაქრა ინფორმაცია, ახალი ამბები, სამაგიეროდ წალეკვამდეა პოლიტიკა (ვინც კარგად ლაპარაკობს და წერს, ყველა პოლიტიკოსი როდია). ვფიქრობ, დადგა დრო ინფორმაციის საშუალებებში ე. წ. პოლიტიკაზე, ახალი საქართველოს პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აუცილებლობის მიხედვით, იმსჯელონ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელებმა და ქვეყნად აღიარებულმა პოლიტიკოსებმა. ყველა დანარჩენმა კი თავის კონკრეტულ საქმეს მიხედოს. ეს უნდა ჩანდეს ნაბეჭდშიც და ეკრანზეც, თორემ პოლიტიკით ნაჯერი ინფორმაცია შეიძლება გამწარდეს და ხელისუფლებას პრაქტიკულ მოღვაწეობაში დაბრკოლებები შეუქმნას.

დღეს ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ადამიანები დაუბრუნდნენ შრომას. შრომას მოწყვეტილი ადამიანი მხეცს ემსგავსება და იგი მზად არის ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს. ახალი ძალით უნდა ამოქმედდეს მასობრივ ინფორმაციებში დადებითი მაგალითის ჩვენების ტრადიცია. საზოგადოებაში სიკეთე ყოველთვის სჭარბობს ბოროტებას. და ამიტომაც აქვს მას მომავალი.

ესაუბრა
ვივი ჩიქვინიძე.

ერთიან ფუნქციურ გააზრებას მოითხოვს

ზოგიერთი მოსაზრება გაზეთ „თბილისის" ერთი პუბლიკაციის გამო

დასაბამიდან თბილისს მძიმე ხვედრი არგუნა განგებამ. ვინ არ მოსდგომია მის კარს, ვის არ აუოხრებია იგი!

დიახ, საუკუნეების მანძილზე მრავალი გამანადგურებელი ომი გადაუტანია, აოხრება და ნგრევა განუცდია. ინგრეოდა, მაგრამ შენდებოდა, ნადგურდებოდა და კვლავ აღდგებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი დედაქალაქი ერთი სამარცხვინო, დამანგრეველი ომის ასპარეზი განვლილ ზამთარშიც გახდა. დაინგრა და გადაიბუგა თბილისის გული — რუსთაველის გამზირი, თავისი დამამშვენებელი არქიტექტურული და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობებით.

ბუნებრივია, ამ ნგრევასაც შენება უნდა მოჰყვეს და აღდგეს ყველასთვის საყვარელი ადგილი, მაგრამ როგორი სახით? აი კითხვა, რომელიც დღეს პრობლემური გამხდარა. ამ საკითხზე ყველას აქვს თავისი აზრი და მისი გამოთქმის უფლებაც. მთავარი აზრთა გონივრული შეჯერება და უკეთესთა შორის უკეთესის ამორჩევა.

ამას წინათ, გაზეთ „თბილისში" (28 ივლისი) რუბრიკით „თვალსაზრისი" დაიბეჭდა წერილი „თბილისის ცენტრი ერთიან ფუნქციურ გააზრებას მოითხოვს". მისი ავტორები არიან მშენებელ-კონსტრუქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი, პროფესორი **დავით ქაჯაია**; რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-არქიტექტორი **შოთა ნათაძე**; პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული ჟურნალისტი **გერასიმე ფირცხალავა**; პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **აკაკი კაცაძე**; რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, სპორტის ოსტატი **დავით გოძიაშვილი**; საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი **ოთარ კაციტაძე** და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი **თენგიზ გორდელაძე**. ისინი სწორედ რუსთაველის გამზირის აღდგენის თაობაზე გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და კონკრეტულ წინადადებებს გვთავაზობენ.

წარსულის დავიწყების უფლება არ გვაქვს, მაგრამ მზერა უმთავრესად მაინც მომავალს უნდა მივაპყროთო, ამბობენ ერთგან. ვფიქრობთ, მათი ეს ნათქვამი მხარდასაჭერია, რადგან როგორც თვითონ ავტორები ამბობენ, „განახლებული რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი უნდა წარმოგვიდგეს, როგორც თანამედროვე ხუროთმოძღვრული ხელოვნების დონეზე გააზრებული, ყოველმხრივ განვითარებული ადმინისტრაციული, საქმიანი და კულტურული ერთიანი ცენტრი". კერძოდ, რას გულისხმობენ ისინი? „თავისუფლების მოედნის ის ნაწილი, რომელიც უნივერმაღ „თბილისსა" და ეროვნულ ბანკს შორის არის მოთავსებული, საქმიან ცენტრად უნდა გადაიქცეს: აშენდეს მრავალსართულიანი შენობები, სადაც ბინას დაიდებენ ბანკები და ბირჟები, სავაჭრო, სადაზღვევო, საფინანსო კომპანიები და უცხო ქვეყნების ფირმების წარმომადგენლობები; აქ კონცენტრირებული იქნება ეროვნული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური და საქმიანი ნერვული ცენტრი. აქვე უნდა მოეწყოს დარბაზები სხვადასხვა სახის გამოფენებისთვის, რესტორნები, კაფეები, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, გასართობი ინდუსტრიის ობიექტები და ა. შ. ამ ნაგებობათა 4-5 სართულიან სარდაფებში აუცილებლად უნდა იყოს ავტომანქანების სადგომები".

ვფიქრობთ, მხარდასაჭერია ის მოსაზრებაც, რომელსაც ისინი პირველი საშუალო სკოლის თაობაზე გამოთქვამენ. იქნებ, მართლაც, ჯობდეს ცოტა ზემოთ აშენდეს საგანმანათლებლო ფუნქციის მოთხოვნების შესატყვისი სკოლის ახალი შენობა. მართლაც, ერთობ ხმაურიან და ეკოლოგიური თვალსაზრისით არასახარბიელო ადგილზეა იგი.

მართლაც, ხომ შეიძლება ჩვენი ღრმა პატივისცემა ამ ისტორიული სკოლის მიმართ სხვაგვარად გამოვხატოთ? თუნდაც, როგორც ზემოხსენებულ წერილშია ნათქვამი, „სკოლის პირვანდელი სახის ხსოვნის შენარჩუნებისათვის საკმარისი იქნება შევქმნათ შენობის მეტ-ნაკლებად დიდი მაკეტი და, სათანადო მემორიალურ დაფასთან ერთად, ჩავდგათ ახალი სკოლის ტერიტორიის თვალსაჩინო ნაწილში".

მოსაწონია ავტორთა ის მისწრაფებაც, რომ მთაწმინდის კალთებზე გადაბუგული საცხოვრებელი სახლების აღდგენის ნაცვლად, აიგოს რელიეფთან შერწყმული 5-7 სართულიანი სრულიად ახალი შენობები.

თბილისი ყველას გვიყვარს და არც მისი ბედია ჩვენთვის სულ ერთი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის დღევანდელ საჭირბოროტო პრობლემებზე აზრთა ჭიდილია. თბილისის ცენტრს, მართლაც, ერთიანი ფუნქციური გააზრება სჭირდება და, ჩვენი აზრით, ამის თაობაზე გამოთქმული ყოველი კონკრეტული წინადადება გონივრულ, საფუძვლიან შესწავლასა და ყურადღებას მოითხოვს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ვის წისქვილზე უშვებთ წყალს, ბ-ნო სადუნაშვილო?

(ერთი „დაგვიანებული პასუხის" გამო)

აკაკი გელოვანი.

შინაური თუ გარეშე დესტრუქციული ძალები ყოველი კუთხე-კუნჭულიდან უტევენ თავისუფალ საქართველოს, მის მესვეურებს, დემოკრატიულ კურსს. შემრიგებელს და შუამავალს ამერიკელი ინდიელები და ახალზელანდიელი მაორებიც არ ერჩიან. ჩვენთან კი, ათი ათასი წმინდა ტაძრის მშენებელთა მშვიდობიან ქვეყანაში, ისეთი ოდიოზური ამბებიც ხდება (მინისტრების გატაცება, ცემა, აფეთქებანი, ძარცვა-რბევა ყველა მახინჯი ფორმისა და მეთოდის გამოყენებით), რომ ტანტალიდებისა და ატრიდების მითური უსაქციელობა გაგონდება. მშვიდობიანი მოლაპარაკების მოციქულებს ტყვიით ხვდებიან. შიდა ქართლში შემრიგებელი ძალები ნაღმებსა და მრავალ წინააღმდეგობას აწყდებიან. ცხინვალში ოს ლტოლვილთა ნაკადები მოდიან, ქართველები კი ვერ ბედავენ შესვლას, რომ დამწვარ-გაძარცულ კერას დაუბრუნდნენ.

ასეთ ვითარებაში სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის განცხადება: სადაც აუცილებელია, ძალაც უნდა გამოვიყენოთ, რომ ქვეყანაში წესრიგი დამყარდესო. ეს არ გულისხმობს უთუოდ ტყვიასა და ნაღმებს, მაგრამ ერის ძალა და ენერგია, ხალხის ნება ყველა ჯურის ექსტრემისტულ ძალას უნდა ვაგრძნობინოთ და აღდგეს სამართლიანობა.

სწორედ ასეთ თვალსაზრისზე ვიდექი მუდამ და ამას ისახავდა მიზნად ჩემი ორი პუბლიკაციაც „ვაი მწერალთა უკეთურობისათა" და „როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება", რომელთა წინააღმდეგაც გამოვიდა მასწავლებელი სადუნაშვილი. ეტყობა, ჩვენი პოზიცია, რაც ეჭვს არავისთან არ უნდა იწვევდეს, გარკვევით ვერ გამოვხატე და მინდა ახლა ჩემს ოპონენტს უფრო ნათლად განვუმარტო, თან ვკითხო: რა არის აქ სადავო? ხომ არ უნდა ვიდავოთ დაუსრულებლივ სქოლასტიკოსებივით იმაზე, თუ რამდენი ანგელოზი ეტევა ნემსის წვერზე?

„ახალგაზრდა ივერიელის" 8 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მარნეულის სკოლის მასწავლებლის სადუნაშვილის „დაგვიანებული პასუხი ქ-ნ გულბანს და ბ-ნ გელოვანს".

ნამდვილად არ მქონდა ხალისი, არც ამ პირადული სულისკვეთებით გამიზნული წერილის სერიოზულად გადაკითხვისა, და მით უმეტეს, არც პასუხის გაცემისა, რადგან, გვაქვს უფრო არსებითი პრობლემები, თანაც მკითხველი დაქანცა ამდენმა უსარგებლო პაექრობამ, შუღლმა, ლეწვამ, პასკვილებმა და პოლემიკამ.

მაგრამ განმარტება მაინც საჭიროდ ჩავთვალე, რადგან, შეფარვით თუ აშკარად, არსებობს რაღაც არაეროვნული განწყობილებები, რომელთა წარმომადგენელიც ბ-ნი სადუნაშვილია.

ყველას თავისი აზრი აქვს

„ახალგაზრდა ივერიელი" ძვირფასი გაზეთია, მასთან ძველი ტრადიციული მეგობრობა მაკავშირებს, ბევრი საჭირო სიტყვა მითქვამს მის ფურცლებზე და სულაც არ მინდა, მისი განაწყენება. უბრალოდ, თავის დროზე გამაოცა მასში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიაც დაუფარავად გამოსჭვიოდა ის აზრი, რომ ჩვენ ვართ ცუდები, დამნაშავეები, ოსები კი კარგები არიანო (ასეთი რამ რუცკოისაც კი არ უთქვამს). საპასუხო წერილი რედაქტორს მივუტანე და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაეცნო და გადაჭრით უარი მითხრა მის დაბეჭდვაზე, მივმართე სხვა გაზეთს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა მერაბ ბალარჯიშვილმა მითხრა: „თუ ამ წერილს სადმე გამოაქვეყნებთ, მე პასუხს გაგცემთო" (ეს იყო მუქარა, რაც მოგვიანებით ასრულდა კიდეც, რედაქციის მინაწერით დამშვენებული). ახლახან „ერთობაშიც" დავბეჭდე სტატია ჩვენთვის საჭირბოროტო პრობლემაზე, დემოგრაფიაზე, თუმცა, არაფერი არ მაკავშირებს მის პარტიასთან და შესანიშნავ რედკოლეგიასთან. ესაა ეროვნული პრესა, და ვინც ჩემი აზრით, ერისათვის არასასურველ სიტყვას იტყვის, ვეცდები კვლავაც ყველას საკადრისი პასუხი გავცე.

პოლიტიკასთან და პარტიებთან არაფერი მესაქმება. ჩემი პოლიტიკა ჩემი ერია და ვერავინ მაიძულებს, გადავუხვიო სწორ, ეროვნულ გზას, რისთვისაც უთვალავი მკითხველი მადლიერების წერილებს მწერს. ბ-ნი სადუნაშვილი კი ამ პასუხით უფრო აშიშვლებს თავისი პოზიციის აქილევსის ქუსლს, რითაც მაოცებს. ეთნოკონფლიქტისა და შუღლის გაღვივებას რომ გვწამებს, ეს აბსურდია, რაც მომაგონებს ერთ ანონიმს, ამას წინათ რომ დამირეკა „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილის გამო „როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?", უცნობმა მანდილოსანმა თავისი „პოზიცია" ასე გამოხატა: „ოსებს გაუსწორდი და ახლა აფხაზებს ეტაკე?" ვერ გაგიგიათ, ძვირფასნო (მგონი, ისიც თქვენგანი იყო, ერთნაირი გამოთქმები შევიცანი). ოსებს და აფხაზებს კი არ „ვეტაკე", არამედ ექსტრემისტებს, სამივე ხალხის მტრებს, ბანდებს, რომლებიც წლების განმავლობაში გვხოცავდნენ, გვწვავდნენ, დღესაც კი — ნანატრი ღონისძიებების მიუხედავად — გზებსა და ველებს ნაღმავენ, იტაცებენ საქონელსა და მოხუცებს, მილიონებს ითხოვენ გამოსასყიდად... აი, ვის „ვეტაკე" და ვის „იცავს" ბ-ნი სადუნაშვილი! მფარველი სხვაც ბევრი ჰყავთ. აგერ, ოსტანკინოდან მოგვახარეს, სამხრეთ ოსეთი მზადაა 130000 ლტოლვილის მისაღებადო (?!), ქართველები კი იქ ვერ შედიან, არც უშვებენ; კულუმბეკოვიც (სისხლის სამართლის დამნაშავე და მართლაც შუღლის მთესველი) მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: ქართველებს არაფერი ესაქმებათ ოსეთში და ნუ შემოვლენო. დიახ, არაფერი გვესაქმება თურმე შიდა ქართლის ძირძველ მიწაზე, სადაც ორასზე მეტი წმინდა ეკლესია გვაქვს, მათგან მრავალი თამარის ჟამისა! ერთმა ისიც კი დაბეჭდა, ქართველები რომ დამნაშავე ხართ ყველაფერში, იქიდანაც ჩანს, რომ მიწისძვრამ ეკლესიები დაგინგრიათო (ვისაც არ აუშენებია, რა უნდა დანგრეოდა?). ვინმე ტიბიზოვმა ერთ რედაქტორს მოსწერა: „მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში კიდევ დარჩენილან სალად მოაზროვნეები, ვლადიკავკაზში რომ ჩავიდნენ და უნდათ უშველონ ჩემს ცხინვალს, ჩემს კახეთს, ჩემს თბილისს!" აფხაზეთში კიდევ ბრმაც ხედავს, რა ხდება, კონსტიტუციებს აუქმებენ, ქართველებს მასობრივად ხსნიან სამსახურიდან, მინისტრს სცემენ.

ასეთ ვითარებაში რომ ჩემს ერს, კერძოდ აფხაზეთის ქართველობას მივმართო, მოითხოვოს კანონიერი უფლებები, დაამყაროს სამართლიანობა თავის მიწაზე, ეს შუღლის გაღვივებაა? ბ-ნო სადუნაშვილო, რა პოზიციებიდან გვედავებით? ვის უნდა ვუფრინდეთ ფიანდაზებს? ვინც განხეთქილების ვაშლებს გვიგორებს და ტყვიას გვიმიზნებს? იარაღის ასხმას კი არ გულისხმობს ჩვენი მოწოდება, კანონიერება და სამართლიანობა გვინდა დამყარდეს საქართველოში! რას გვირჩევთ, ენა მუცელში ჩავიგდოთ და ვუყუროთ, როგორ შემოგვაჭრიან კიდევ ახალ მიწებს? ვის ეფარებით მარნეულიდან?

თქვენ „თავისუფალი საქართველოს" იმდროინდელი კოლეგიის წევრთა გვარებს ჩამოთვლით. ეს პოლიტიკურ სპეკულაციას ჰგავს, ძვირფასო! არაფერი არ მესაქმებოდა მათთან, მე იქვე მეზობელ გაზეთში მივედი და არც დამსიზმრებია, რომ წერილის გამოქვეყნება „ახალგაზრდა ივერიელის" დახურვას დაემთხვეოდა. ეს მეც მეწყინა. მე სპეკულაციებით არ ვმუშაობ. რაც დავბეჭდე, ვადასტურებ.

თქვენ ქ-ნ გულბანთან ერთად „მისწორებთ ანგარიშს", კამათის კულტურის ნორმებს არღვევთ და თავს იმის თქმის ნებასაც აძლევთ, რომ ჩემი სტატია ძლიერ ემსგავსებოდა გულბანის სტატიას. მე გულბანს არ ვიცნობ, მისი სტატია არ წამიკითხავს. ალბათ, ორი ჭეშმარიტება დაემთხვა, რა გინდათ ამით თქვათ?

მე პატივსა ვცემ ყოველ მასწავლებელს, მით უმეტეს, სოფლის მასწავლებელს, მაგრამ როცა საპაექროდ მწერლებს იწვევთ, სერიოზული ტონი და მთავარი საქმე ხომ არ გავიწყდებათ? მე აქ ვდგავარ და სხვაგან დგომა არ შემიძლია. თქვენი გამოწვევა მომაგონებს ერთი მღებრის მოქმედებას, რუბენსი რომ გამოიწვია, ცხადია, თქვენ იმდენადვე მაღლა დგახართ იმ მღებარზე, რამდენადაც, მე — რუბენსზე დაბლა, მაგრამ პრინციპი აქ ერთია: მე და თქვენ მოვეშვათ პოლიტიკას, რაც ჩვენი საქმე არ არის, ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი საქმე! ყველა ასე რომ მოქცეულიყო, საქართველოს ამდენი უბედურება არ დაატყდებოდა!

პროტესტი

დაუყოვნებლივ შეწყდეს!

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, თბილისის გამწვანება დღეს ცუდ კლიმატურ რეგიონებში განლაგებულ დასახლებებსაც კი საგრძნობლად ჩამორჩება, და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ აუცილებლად მოსაგვარებელ საქმეს ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოქმედება აღუდგება წინ.

როგორც შევიტყვეთ, გამარჯვების პარკის მიმდებარე გამწვანების ზონაში, კუს ტბის გზის მონაკვეთზე, რომელიც თბილისის „ტურბაზას" ესაზღვრება, წამოწყებულია საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რაც სავსებით საკმარისია ზემოთქმულის დასადასტურებლად. გამარჯვების პარკის ამ მონაკვეთში განლაგებულია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ადგილობრივი დამთვალიერებლების გარდა, მრავალრიცხოვან სტუმრებს მასპინძლობს. იქვეა საქვეყნოდ აღიარებული, ჩვენი დროის გამოჩენილი მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებითი სახელოსნო, სტუდია და მუზეუმი, რომლის დათვალიერებას ხშირად გვთხოვენ საზღვარგარეთიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები, მაღალი რანგის ოფიციალური პირები. ამრიგად, აღნიშნული ადგილი კარგა ხანია, საყოველთაოდ მიჩნეულია კულტურის მნიშვნელოვან, კერად და იქ დამკვიდრებული სამუზეუმო სიმშვიდის დარღვევას ვერაფერი გაამართლებს.

საქართველოს კულტურის სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს: დაუყოვნებლივ შეწყდეს გამარჯვების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, გაუქმდეს ქალაქის არქიტექტურული დაგეგმარების სამმართველოს თუ სხვა უწყების მიერ გაცემული ნებართვა (თუ ასეთი არსებობს), ხოლო მომავალში ასეთი საკითხების გადაწყვეტა არ მოხდეს კულტურის სამინისტროს და სხვა კომპეტენტური დაწესებულებების მოსაზრების გაუთვალისწინებლად.

დავით მაღრაძე,
საქართველოს კულტურის მინისტრი.

დავცხოთ და დავკრათ, სანამ...

რასაკვირველია, თავსატეხი და თავს დატეხილი ბევრი გვაქვს, მაგრამ, ჩვენი უჭკუობით თუ სიხარბით, თავადაც რომ ვიჩენთ ახალ-ახალ პრობლემებს? გაჩნდა უთქმელი დევიზი — მოვასწროთ, მოვასწროთ, სანამ, სანამ...

კულტურა რომ ჩვენი სახე იყო, არის და იქნება, ამას, ვგონებ, მტკიცება არ უნდა. კულტურას რომ სარბიელი, მცირე, მაგრამ მაინც სივრცე თუ მოედანი სჭირდება, არც ამას უნდა ჰეგელის დიალექტიკა და მარქსის ეკონომიკური მოძღვრება. მაშ, რად ვზღუდავთ ამ სარბიელს, მოედანს თუ სივრცეს? ისევ — მოვასწროთ, სანამ... — დევიზით?

ჯერჯერობით (მადლობა უფალს!) კუს ტბის შემოგარენი, ასე ვთქვათ, ტყე-პარკია, ბავშვთა გასართობი, ყმაწვილების სარბენი, სიცხე-პაპანაქებაში ხანდაზმულთა საჩრდილობელი, სპორტსმენთა ასპარეზი, დღემდე შეურყვნელი ფილტვები ქალაქისა.

აქვეა კოლორიტული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ჩვენი ერის სიამაყის, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებითი სახელოსნო, სტუდენტური სტუდია. მთლიანად ეს კულტურის კერაა, გახშირებულ სტუმართა წინაშე ჩვენი კულტურის მონაპოვართა დემონსტრირების ადგილია.

აქ და ლისის ტბის შემოგარენში ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია. მაგრამ ნახეთ — კუს ტბის მიდამოები უკვე იქცა „მოვასწროთ, სანამ..." დევიზის განხორციელების ადგილად. იწყება ინდივიდუალური სახლების მშენებლობა...

ვაი, ჩვენს თავს, ვაი, ჩვენს ჭკუას, ვაი, ჩვენს ქალაქს.

აბა, დასცხეთ და დაჰკარით, მშენებლებო, სანამ...

თენგიზ ბუაჩიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რესპუბლიკელთა ყრილობა

ჰიუსტონში რესპუბლიკური პარტია მეორე ვადით კვლავ დაასახელებს ჯორჯ ბუშს ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატად ნოემბრის არჩევნებში. ბუშის პოპულარობის მკვეთრი დაცემის მიუხედავად, ყრილობაზე ოპტიმისტური განწყობილებაა. დარწმუნებული არიან, რომ გარდატეხა მოხდება საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში. ჯეიმს ბეიკერისგან საოცრებას მოელიან. იგი იქნება პირველი ამერიკის ისტორიაში, რომელიც ესოდენ პრესტიჟულ პოსტს ტოვებს და სათავეში ჩაუდგება თეთრი სახლის აპარატს, უხელმძღვანელებს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას. მას, როგორც ბუშის პირად მეგობარს და თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელს, მუდმივი კონტაქტი ექნება პრეზიდენტთან. ბეიკერი უკვე ოთხჯერ მონაწილეობდა პრეზიდენტების — ჯერალდ ფორდის, ორჯერ — რონალდ რეიგანის და 1988 წელს ჯორჯ ბუშის საარჩევნო კამპანიაში. მიუხედავად ამისა აღნიშნავენ, რომ ამჯერად მას უძნელესი ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს — ქვეყნის ეკონომიკური რეცესიის ახსნა, მომავლის დამაჯერებელი პერსპექტივების დასახვა, რესპუბლიკელთა კანდიდატისთვის ამომრჩეველთა 50 პროცენტზე მეტის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. დემოკრატთა კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე ბილ კლინტონმა, როგორც კი გაიგო ბეიკერის ახალი დანიშვნის ამბავი, განაცხადა, რომ ბეიკერი უაღრესად ნიჭიერი და გამოცდილი პოლიტიკოსია და შეუძლია შეცვალოს თანაფარდობა საარჩევნო კამპანიაში, მაგრამ, მისი აზრით, სრული გარდატეხის შეტანას ვერ შეძლებს, რომ ძლიერი საგარეო პოლიტიკა მხოლოდ ძლიერ ეკონომიკას უნდა ეყრდნობოდესო, რომ ეს ერთი მედლის ორი მხარეა... შეერთებული შტატები უნდა დარჩეს კაცობრიობის მთავარ იმედად..."

ჟირინოვსკი მიუნხენის ლუდხანებში

რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟირინოვსკი მიუნხენშია. იგი მიიწვია გერმანიის უკიდურესმა ნაციონალისტურმა პარტიამ —„გერმანულმა სახალხო კავშირმა". გერმანიის ულტრამემარჯვენე ძალების კავშირთან რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ალიანსი მრავალმეტყველია და საერთო მიზნებზე მიუთითებს. გერმანელი ულტრების აზრით, გერმანელთა დამარცხება „ამერიკელთა საქმე იყო", ჟირინოვსკის მიმდევრებიც ამერიკას „ბევრ რამეს" აბრალებენ. ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ჟირინოვსკის გერმანელებს აღმოსავლეთ პრუსიის, აგრეთვე დასავლეთ პრუსიის (პოლონეთი) დაბრუნებას ჰპირდება, თუ იქნება უზრუნველყოფილი რუსეთის ინტერესები ლიტვაში და მხარს დაუჭერენ რუსეთის გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს. ასეთი საუბრები იყო მიუნხენის ლუდხანაში — ჰიტლერელი პუტჩისტების ყოფილ ბუნაგში.

დაიწყო ვულკანის ამოფრქვევა

ამერიკის ქალაქ ანკორიჯის (ალასკის შტატი) ხელისუფალნი იძულებული გახდნენ სამშაბათს დაეხურათ საერთაშორისო აეროპორტი იმის გამო, რომ დაიწყო ვულკანის ამოფრქვევა ქალაქიდან 120 კილომეტრის დაშორებით.

ამოფრქვევის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქში წამოვიდა ფერფლის წვიმა. ქალაქის სამედიცინო სამსახურმა მოქალაქეებს, რომლებსაც სასუნთქი გზების დაავადებანი სჭირთ, აუკრძალეს ქუჩაში გამოსვლა. აეროპორტში კი ათასობით ტურისტი დაგროვდა.

აქ ზაფხულის განმავლობაში ვულკანი, რომელიც 39 წელი დუმდა, უკვე მეორედ ამოიფრქვა.

თითო აბზაცით

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა კაბინეტის საგანგებო სხდომაზე განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საფრანგეთთან ერთად ერაყის სამხრეთში „აკრძალულ საჰაერო ზონას" შექმნიან ერაყელი შიიტი მოსახლეობის (ლტოლვილების) დასაცავად. მეიჯორმა თქვა, თუ ერაყის თვითმფრინავები გამოჩნდებიან ამ ზონაში, მათ საერთაშორისო კოალიციის ავიაცია ჩამოაგდებსო".

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე შექმნილ სერბის რესპუბლიკის პრეზიდიუმში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სერბის ჯარების არტილერიისადმი გაეროს ძალების კონტროლის დაწესების შესახებ.

ბუდაპეშტში მუშაობა დაიწყო უნგრელთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც განიხილავს უნგრული უმცირესობის უფლებათა საკითხს მსოფლიოს ქვეყნებში. კონგრესს 5 ათასი წარმომადგენელი ესწრება 20 ქვეყნიდან. იგი სამ დღეს იმუშავებს.

კიევში 22 აგვისტოს გაიმართება უკრაინელთა მსოფლიო ფორუმი, რომელიც მიეძღვნება სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღს. მოხსენებით გამოვა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

ბასტი-ბუბუ,

ანუ ჟრიამული, რომელიც თურმე ასე გვჭირდება

ეზო სავსეა ბავშვებით, ვინ იცის, მერამდენედ იღება ფანჯრები და ეძახიან ზურიკოს, ქეთის, ნინოს.. თამაშის მიტოვება არავის უნდა... მაგრამ საკმარისია ვინმემ დაიძახოს, „ბასტი-ბუბუ" იწყება და ეზოც უმალ ცარიელდება.

ამ საბავშვო გადაცემას ერთნაირი ინტერესით უყურებს დიდიც და პატარაც. ჯერ მხოლოდ ორი გამოშვება იყო ეთერში გასული, როცა საქართველოს სოციალური კვლევის ცენტრმა გამოიკვლია ტელეგადაცემების პოპულარობა და „ბასტი-ბუბუ" პირველ ხუთეულში მოხვდა. ეს დიდებული შედეგია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გადაცემა მხოლოდ ორჯერ იყო ეთერში გასული და მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეიძლება ვერც ენახა იგი და, მეორეც, იმიტომ, რომ მხოლოდ ბავშვებისთვის ჩაფიქრებული პროგრამა უფროსებსაც მოეწონათ. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნილება ყოფილა ასეთი ხალასი, მხიარული და შინაარსიანი სანახაობა. რა კარგია, რომ მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული ამდენი ბავშვი გვყოლია, გვქონია ახალი საბავშვო სიმღერები, თოჯინები და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალი ქართული მულტფილმებიც... დამეთანხმებით, უდაოდ გვაკლდა ასეთი გადაცემა. სწორედ ამიტომ ვიფიქრე, რომ არ იქნებოდა ინტერესს მოკლებული იმ ადამიანებთან საუბარი, ვინც აკეთებს ამ გადაცემას, მით უმეტეს, რომ ისინი გადაცემის ბოლოს არასოდეს აწერენ ტიტრებზე თავიანთ გვარებს.

ტიტრების მაგივრად

თამრიკო სხვიტარიძე — 30 წლის, ჟურნალისტი, ჰყავს მეუღლე და 5 წლის შვილი. ძალიან უნდა, რომ „ბასტი-ბუბუ" კარგი გადაცემა იყოს.

— ჩვენი სახელები გადაცემის ბოლოს არ იწერება, რადგან გვინდა, რომ „ბასტი-ბუბუ" ბოლომდე ბავშვების შემოქმედება იყოს... მართალია, უზომოდ დიდია მათი წვლილი, მაგრამ ტელემაყურებელი მაინც ხვდება, რომ ამ გადაცემის უკან უფროსები ვდგავართ. სასწაულია მათთან მუშაობა, დაღლასაც ვერ ვგრძნობთ, ხან ჩვენ ვიქცევით ხოლმე ბავშვებად და მათი ლოგიკით ვაზროვნებთ, ხან ისინი ხდებიან სერიოზულნი, დინჯნი და თანატოლებივით გვესაუბრებიან. ამ ბავშვებს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ... რეპეტიციაზე არაფრით არ დაიგვიანებენ, ტექსტის სწავლას არ დაიზარებენ, ზედმეტად არ იცელქებენ, ესაა რომ, შეიძლება მოწყინდეთ... როცა გადაცემის ჩაწერა დილიდან საღამომდე გრძელდება, ცოტა ხნით სათამაშოდ გვთხოვენ ხოლმე ეზოში გაშვებას, ჩვენც ვუშვებთ, მოკლედ, როგორც შეგვიძლია, ხელსაც ვუწყობთ და ხასიათსაც.

ჩვენი გადაცემა თითქმის წლიწადი მზადდებოდა. გვქონდა საინტერესო შეხვედრები და კონსულტაციები საბავშვო მწერლებთან, ფსიქოლოგებთან, პედიატრებთან, ვეცნობოდით 2-დან 10 წლამდე ბავშვის თავისებურებებს. ზუსტდებოდა გადაცემის ფორმა, შინაარსი, ქრონომეტრაჟი. კამათი გვქონდა ყოველ წვრილმანზე. ყველაზე მეტად დილეტანტიზმისა მეშინოდა.

ნინო გოგაძე — რეჟისორი, ასაკი გასაიდუმლოებულია, რადგან ჯერ არ შეუქმნია ოჯახი. ძალიან უნდა ჰქონდეს საკუთარი კამერა და სამონტაჟო მაგიდა.

— ყველას უკვირს, საიდან გვაქვს ამდენი ენერგია, ასეთ შრომატევად საქმეს რომ შევეჭიდეთ. მინდა გითხრათ, რომ ეს ენერგია თქვენგან მოდის. როცა მაყურებელი მადლობას გვეუბნება და დაინახავს იმ შრომის შედეგს, რომელიც გადაცემას წინ უძღოდა, გათენებული ღამეები გვავიწყდება... და ისევ ვჯდებით მაგიდასთან, გადაღებას ვეგებებით შემდეგი კვირისათვის, ვანაწილებთ აპარატურას, ტექსტებს, ვცდილობთ ისე, თითქოს პირველ გადაცემას ვაკეთებდეთ.

მაკა აროშიძე — მუსიკათმცოდნე, 31 წლის, ჰყავს მეუღლე და 2 წლის შვილი, ოცნებობს ქართველი ბავშვებისათვის ყველაზე კარგი სიმღერები იწერებოდეს.

— დიდხანს ვკამათობდით, შეძლებდნენ თუ არა ბავშვები გადაცემის წაყვანას. იყო სხვადასხვა ვერსიები, ეგებ თოჯინებს წაეყვანათ, ეგებ მსახიობებს, იქნებ ზღაპრის გმირებს. სკოლაში მუსიკის მასწავლებლად ვმუშაობდი და ბავშვებთან უფრო ახლო კონტაქტი მაქვს, ამიტომ ძირითადად მე ვიკისრე ბავშვების შერჩევა. კონკურსს სრულყოფილი სახე არ ჰქონია. ჩემი მოყვანილი ბავშვებიდან მხოლოდ რამდენიმე შეირჩა და პირველსავე გადაცემაში სხვებიც მოვიწვიეთ. მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბავშვებს უნდათ ჩვენთან თანამშრომლობა, მოდიან ტელევიზიაში, ცეკვავენ, მღერიან, თავიანთ შესაძლებლობებს ავლენენ. მაგრამ, ვფიქრობ, სექტემბრიდან „ბასტი-ბუბუში" ბავშვების მიღებას უფრო ოფიციალური და კონსტრუქციული სახე ექნება. ამისათვის ვამზადებთ შენობას, ვადგენთ კომპეტენტურ კომისიას.

მიშა ბუჭია — 39 წლის, მეთოჯინე-რეჟისორი, ჰყავს მეუღლე და 14 წლის შვილი. მისი ოცნებაა თბილისის ქუჩებშიც იარონ დიდმა ფერადმა თოჯინებმა.

— თეატრალური ინსტიტუტი ტელერეჟისორის დიპლომით დავამთავრე, მაგრამ მართალი გითხრათ, თავიდანვე მაშინებდა სატელევიზიო აპარატურა თავისი ღილაკებით და ათასგვარი ფოკუსებით. რამდენიმე წლიწადს დრამატულ თეატრში ვმუშაობდი, შემდეგ თოჯინების თეატრში, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ვუღალატე ჩემს ნამდვილ პროფესიას. დიდხანს ვეძებდით ტელეთოჯინის საუკეთესო ვარიანტს. თოჯინების თეატრიდან მოგვქონდა სხვადასხვა სისტემის თოჯინები, მათ ტელეგენურობას ეკრანზე ვამოწმებდით, მხარში ამოგვიდგნენ რუსული თოჯინების თეატრის სახელოსნოს თანამშრომლები. მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ არსებული მასალებიდან ბასტი და ბუბუ შეექმნათ. თოჯინების ესკიზების ავტორია ირინე ბარანოვა. ჩვენ მას სპეციალურად მივაკითხეთ, როგორც ბავშვებისათვის საყვარელი მულტფილმის „წვიმად დავბრუნდებ"-ის მხატვარს. იგი გემოვნებიანი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხელოვანია. არანაკლები პრობლემა გახლავთ თოჯინების გამოყვანება: ბასტის საუბარში და მოძრაობაში ეხმარებიან ახალგაზრდა, საოცრად შრომისმოყვარე მსახიობები — ანა ზვიადაძე და მაგდა ჩიხლაძე, ბუბუს კი პროფესიონალი მსახიობი თემო კალანდაძე.

ბათუნა წულაია — 31 წლის, ეკონომისტი, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, მისი ოცნებაა, „ბასტი-ბუბუ" ძლიერი, საერთაშორისო დონის ფირმად ჩამოყალიბდეს.

— ვგრძნობ, რომ „ბასტი-ბუბუს" სახელით ძალიან საინტერესო და საჭირო საქმეების კეთება შეიძლება. კარგ გადაცემას „კარგი" ფინანსებიც სჭირდება, სპონსორების დიდი იმედი გვაქვს, „ბასტი-ბუბუს" აქვს შესაძლებლობა აკეთოს მაღალი დონის შოუ-პროგრამები, გახსნას საბავშვო კაფეები, ატელიეები, და საერთოდ ყველაფერი, რაც ბავშვებს გაეხარდებათ და ჩვენს საქმეს წაადგება. „ბასტი-ბუბუს" საუკეთესო დრო და არხი აქვს, მას მთელი საქართველო უყურებს. ვიწვევთ საქმიან ადამიანებს, რომლებიც ჩვენთან ერთად გააკეთებენ ჩვენი შვილების საქმეს, ჩვენი ტელეფონია: 36-84-08.

ეს ნომერი უნდა იცოდეს ყველამ, ყველამ, ყველამ, ვისაც ბავშვები უყვარს.

არ მინდა გამომრჩეს კიდევ ბევრი ადამიანი, რომელიც გულით ეხმარება წამყვან ავტორებს, მათთან ერთად აკეთებს „ბასტი-ბუბუს" საქმეს. ესენი არიან ასისტენტები ნინო ფირცხალავა და სოსო იოსებაშვილი, მემონტაჟეები, ოპერატორები...

აქვე მინდა გაგაცნოთ გადაცემის ნათლიაც — „ბასტი-ბუბუ" ამ პროგრამისათვის ახალგაზრდა რეჟისორს თემურ ბადრიაშვილს დაურქმევია.

როცა ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარ რედაქტორს მერაბ ხაჩიძეს ვესაუბრებოდი, მან ასეთი ფრაზა თქვა:

— **მჯერა, რომ ამ გადაცემას შეუძლია გადაარჩინოს ჩვენი მომავალი თაობა, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ორად გაყოფილ საქართველოს, გაბოროტებულ უფროსებს უყურებს.** თავს მოვალედ ვთვლი, რითიც შემიძლია, დავეხმარო ბასტი-ბუბუელებს. ასევე ფიქრობს დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც.

ამ გადაცემის შემქმნელები, მართლაც კეთილ საქმეს აკეთებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სამყარო, როგორც უფროსებს, პატარებსაც სჭირდებათ თავიანთი მუსიკა, კინო, გადაცემა, წიგნი, სათამაშო.

„ბასტი-ბუბუ" ცდილობს შეუმსუბუქოს ბავშვებს დღევანდელი დღე, ამიტომ უყვართ იგი, მოუთმენლად ელიან მას.

იქნებ ბევრმა არც იცის, რომ გადაცემამ ერთი დიდი კეთილი საქმის გაკეთება უკვე მოასწრო, ალბათ ყველას ახსოვს საბედისწერო აფეთქება ჩიქოვანის ქუჩაზე. ეს მოხდა დილით, დაახლოებით 11 საათზე, რამდენიმე წუთით ადრე კი ეზოში მოთამაშე ბავშვებს „ბასტი-ბუბუს" დაწყება ახარეს და ეზოც უმალ დაიცალა. რამოდენა ბედნიერებაა, რომ პატარებმა ტელევიზორს შეაფარეს თავი და განსაცდელს გადაურჩნენ.

დღეს მხოლოდ უფროსი ბასტი-ბუბუელები, ნიჭიერი, ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდები გაგაცანით... თვითონ ბავშვებს კი არც სჭირდებათ წარდგენა... საოცრად ჭკვიანებს, ლამაზებს, მუსიკალურებს ეკრანიდან უკვე ყველა იცნობს. ასეთები კი თურმე ძალიან ბევრი გვყავს... მერე და მერე კიდევ ახალი სახეები გამოჩნდებიან, "ერთი თაობა მეორეს შეცვლის და ნორჩებს მუდამ ექნებათ ჟრიამული, ჩვენ კი ლამაზი და მსუყე ტელეგადაცემა — „ბასტი-ბუბუ!!!"

ლელა შენგელი.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

შეიქმნა ეროვნული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭო

ეროვნული სამეცნიერო-საატესტაციო სისტემის დაარსების მიზნით, წლეულს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან შეიქმნა სწავლულ ექსპერტთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები. ამასთან დაკავშირებით, საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და ატესტაციის სამმართველოს უფროსს **გიორგი ცაგარეიშვილს:**

— **თუ გაითვალისწინეთ საზოგადოებრიობის აზრი დადგენილების პროექტის შემუშავებისას?**

— ცხადია, ამ დადგენილებით დამტკიცდა დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ". პროექტი გამოქვეყნებული იყო პრესაში. ტელევიზიის საშუალებით, ჩვენ ვთხოვეთ საზოგადოებრიობას გამოეთქვა თავისი მოსაზრებანი. მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში მიღებულ წერილებში გამოთქმული წინადადებანი კომისიამ მაქსიმალურად გაითვალისწინა პროექტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას. დებულება მოიწონეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სხვა წამყვანმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და დაწესებულებებმა. ამრიგად, უკვე ჩამოყალიბდა დებულების პროექტის საბოლოო ვარიანტი, რაზეც ინტენსიურად იმუშავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს ერთობლივმა კომისიამ.

— **რა მიგაჩნიათ ამ დადგენილებაში ყველაზე მნიშვნელოვნად?**

— დამტკიცებული დებულების მთავარი ღირსება გახლავთ ის, რომ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების პრეროგატივა ეკუთვნის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს. ეს არის ბოლო ინსტანცია სადისერტაციო ნაშრომის განხილვის პროცესში.

— **რა ფუნქციებს შეასრულებს სწავლულ-ექსპერტთა საბჭო?**

— უპირველეს ყოვლისა, მას ევალება ახალი სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოების რეგისტრაცია და ფორმირება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ძირითადი ფუნქციაა ამ პროცესების მართვა და კოორდინაცია, რათა, როგორც სამეცნიერო ხარისხების, ისე სამეცნიერო წოდებების მინიჭება ხდებოდეს დღევანდელი სამეცნიერო კადრების მომზადების სრულყოფისა და განვითარებისათვის.

— **იცვლება თუ არა რესპუბლიკაში სამეცნიერო წოდებების მინიჭების არსებული მოდელი?**

— დიახ, იცვლება. სწავლულ ექსპერტთა საბჭო მუშაობს სამეცნიერო წოდებების ახალი მექანიზმის შემუშავებაზე. მზადდება დებულება, რომელიც ახლო მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება რესპუბლიკის მთავრობას.

— **რას იტყოდით ჩვენს რესპუბლიკაში მინიჭებული ხარისხებისა და წოდებების ნოსტრიფიკაციის პრობლემების თაობაზე?**

— ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი ემყარება ვენასა და ბუდაპეშტში 1989 წლის ოქტომბერში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებულ დოკუმენტებს. ჩვენი პოზიცია განპირობებულია იმითაც, რომ ამ კონფერენციაზე შემუშავდა შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, რომლის მიხედვითაც დიპლომების ეკვივალენტობის შესახებ ორმხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობის უფლება მიეცათ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები. ამ სისტემაში საქართველოს ჩაბმისათვის აუცილებელია მისი ჩართვა ევროპულ საინფორმაციო ქსელში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ მიღებას და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

გულიკო მარკოზაშვილი.

თავისუფლება ჟურნალისტს!

როგორც ვიუწყებოდით, სოხუმში უცნობმა პირებმა მოიტაცეს ადგილობრივი ჟურნალისტი ალექსანდრე ბერულავა. წინასწარი მონაცემებით, მისი „დანაშაული" იყო პუბლიკაციები აფხაზეთის ამბების შესახებ, რომლებიც ქართველი მოსახლეობის პოზიციას გამოხატავდნენ.

18 აგვისტოს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში გაიმართა ამ ბარბაროსული აქტის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია. გაზეთების, ჟურნალების, სააგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის აქ შეკრებილმა მუშაკებმა თავიანთი აღშფოთება და შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ კოლეგის ადგილსამყოფელი და ბედი ჯერაც არ არის ცნობილი. ეს შემთხვევა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა ერთსულოვანი აზრით, ქმნის აგრესიის პრეცედენტს პრესის მუშაკთა წინააღმდეგ, რომლებსაც ხშირად უწევთ მუშაობა რთულ, თითქმის ექსტრემალურ პირობებში.

კრებამ მხარი დაუჭირა ჟურნალისტთა კავშირის მიმართვას, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

როგორც წუხელ შევიტყვეთ ჟურნალისტი ალექსანდრე ბერულავა განთავისუფლებულია.

დიმილი

№ 2

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „დიმილის" მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია რევაზ მიშველაძის, რევაზ ინანიშვილის, აკაკი გეწაძის, ვალერიან მამუკელაშვილის, დიმიტრი გულისაშვილის, ფელიქს კოჭიაშვილის, გიორგი ივანიშვილის, გივი მეფისაშვილის, გიგლა ბახტაძის, ნიკოლოზ იოსებიძის, ირაკლი ყიფიანის, თამაზ ებანოიძის, გივი ქანთარიას, ელენე საყვარელიძის, დურმიშხან გრიგალაშვილის, გრიგოლ ჩიტაიშვილის, სანდრო შაიშმელაშვილის ნოველები, მოთხრობები, პიესები, მინიატურები, ნაკვესები, წერილები. ვახტანგ ჯავახაძის, ლანდა მასხულიას, ალექსანდრე დიდებაშვილის, დავით ნავდარაშვილის, შოთა ამირანაშვილის, ალექსი ბოლქვაძის ლექსები, ია რეხვიაშვილის, ნოდარ ჯანაშიას, სულხან ჯორჯანელის, ლია გიგაურის თარგმანები. ლადო ასათიანის ფუნაგორიები „საოხუნჯო რვეულიდან"; აგრეთვე მურთაზ აბაშიძის, ზურაბ ფორჩხიძის, ბაჩუკი იმერლიშვილის, დავით თოთიბაძის, ლევან მართაშვილის, გივი პეტრიაშვილის და რევაზ ჯამის კარიკატურები და თენგიზ გოგოლაძის შარჟები.



პირველი გამოშვება

ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა 18 აგვისტოს რესპუბლიკის სახანძრო დაცვის სისტემაში— პირველი ახალგაზრდა ოფიცრები გამოუშვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სახანძრო-ტექნიკურმა კოლეჯმა.

თავდაპირველად სწავლება მიმდინარეობდა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ბაზაზე, ამ წლის მაისიდან კი კოლეჯმა მიიღო დამოუკიდებელი სტატუსი. მრავალი სიძნელის დაძლევა მოუწიათ კოლეჯის უფროსს პოლკოვნიკ ოთარ ნანიკაშვილს, მასწავლებელთა შემადგენლობას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სრულფასოვანი სასწავლო პროცესის ორგანიზაციისათვის. ახლა 54 კურსდამთავრებული, რომლებმაც მიიღეს კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გაიარეს სტაჟირება სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფებში, მთლიანად არის მზად შეასრულოს ცეცხლთან ბრძოლის ურთულესი ამოცანები.

რეპლიკა

ფერად-ფერადი ჯიხურები და ანტისანიტარია

სულ მალე თბილისს ალბათ ვეღარ წარმოვიდგენთ მავნე სოკოსავით გამრავლებულ ფერად-ფერადი ჯიხურების გარეშე. იყიდებოდეს რამე მაინც — ერთმანეთისაგან განსხვავებული, სამამულო ან უცხოური საქონელი, ქსეროქსზე ერთი დედნიდან გადაღებულ უამრავ ფურცელს ჰგავს.

გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც დედაქალაქის რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა, რომელსაც „კოლორიტს" უმაგრებს თევდორე მღვდლისა (ყოფილი ორჯონიკიძის) და აბასთუმნის ქუჩების სავალ ნაწილზე მოვაჭრე მრავალი რჯულის ადამიანი.

ეს კი არადა, შორიდან ასე სანატრელი და მომხიბვლელი რკინიგზის საუწყებო სახლი, რომელიც თბილისის ერთ-ერთ ძველ შენობადაა (იგი 1927 წელს აშენდა), მიჩნეული, სასტუმრო „კოლხეთის" მხრიდან თითქოს დამძიმდაო და „ამოყირავდა"... სწუხს მოსახლეობა, ჭირს სისუფთავის დაცვა, ქუჩიდან შემოსულ ანტისანიტარიას სასტუმრო „კოლხეთის" ეზოდან გაუგონარი მყრალი სუნიც ემატება...

იქნებ, ღირდეს შევახსენოთ ქალაქისა და რკინიგზის ხელმძღვანელობას, რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად ნუ მიივიწყებენ უმთავრესს — ყველაფერი ადამიანების საკეთილდღეოდ და მათი სიმშვიდისათვის რომ კეთდება.

ია კალანდარიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გამოსათხოვარი

სერგი ნარიკაშვილი

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგი, შესანიშნავი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორი და სამაგალითო მოქალაქე სერგი პავლეს ძე ნარიკაშვილი.

დიდია ს. ნარიკაშვილის ღვაწლი ქართული ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მიერ შექმნილი ქართული ფიზიოლოგიური სკოლის საერთაშორისო აღიარების საქმეში, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მეცნიერთა რამდენიმე თაობა.

ს. ნარიკაშვილი დაიბადა 1906 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930 წელს და დაიწყო მუშაობა ასისტენტად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. 1931 წლიდან ს. ნარიკაშვილმა დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. ამავე დროს ს. ნარიკაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ საორგანიზაციო მუშაობას — იყო ჯერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის და საქართველოს ფილიალის ბიოლოგიის სექტორის, შემდეგ — ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1938 წელს ს. ნარიკაშვილი მიიწვიეს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც მან ჩამოაყალიბა კარგად მოწყობილი ლაბორატორია და დაიწყო ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1941-48 წლებში ს. ნარიკაშვილი მსახურობდა საავიაციო სამხედრო ნაწილში. დემობილიზაციის შემდეგ მან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1958-68 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ამ დაწესებულებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების ურთიერთმოქმედების შემსწავლელი ლაბორატორია, სადაც მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. სერგი ნარიკაშვილის უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევის შედეგები ასახულია ქართულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებულ ორასზე მეტ ნაშრომში. სწორედ ამ გამოკვლევებმა განსაზღვრა ს. ნარიკაშვილის საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი.

წლების მანძილზე სამედიცინო ინსტიტუტში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან აღზარდა მრავალი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი თუ დოქტორი, ამასთან, ბატონი სერგი ყოველთვის იყო სანიმუშო კოლეგა და მასწავლებელი.

განსაკუთრებული კვალი დატოვა ბატონმა სერგიმ ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ინსტიტუტის დაარსებიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე მოღვაწეობდა.

ს. ნარიკაშვილის ღვაწლი მეცნიერების განვითარებაში სათანადოდ დაფასდა: მინიჭებული ჰქონდა ი. თარხნიშვილისა და ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემიები. დაჯილდოებული იყო ორდენებით, მრავალი მედლით და საპატიო სიგელით.

სერგი ნარიკაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება; ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის კომერციული კოლეჯი ადრე გამოცხადებული სპეციალობების გარდა, აცხადებს მიღებას „ფერმერული მეურნეობის ორგანიზაციის" სპეციალობაზე, „ფერმერ-ორგანიზატორ-ტექნოლოგის" კვალიფიკაციით (საშუალო სკოლის ბაზაზე. დღის სწავლება).

საბუთები მიიღება 25 სექტემბრამდე.

ჩარიცხვა — გასაუბრების შედეგების მიხედვით. სწავლა ფასიანია.

მისამართი: 380077, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 44. ტელეფონები: 39-18-08, 39-68-80.

ორგანიზაციების, ასოციაციების, ფირმებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" იუწყება, რომ ბოლო პერიოდში რესპუბლიკის საავტომობილო გზების გასწვრივ და გზაგამყოფ ზოლებზე გახშირდა სარეკლამო ფირნიშების მოწყობა-განლაგება, რაც ხშირად ხელს უშლის საგზაო ნიშნების ნორმალურ აღქმასა და მოძრაობის უსაფრთხოებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" გაცნობებთ, რომ სარეკლამო ფირნიშების განთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ მასთან შეთანხმებით.

ის ორგანიზაციები, რომელთა სარეკლამო ფირნიშები და ფარები უნებართვოდ უკვე განლაგებულია საავტომობილო გზებზე, 30 აგვისტომდე უნდა დაუკავშირდნენ სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" ხელმძღვანელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კონცერნი იტოვებს აღნიშნულ სარეკლამო ფარებისა და ფირნიშების მოხსნის უფლებას.

სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა". გაგარინის ქ. № 29ა.

არქიტექტორებს, დიზაინერებს, მხატვრებს!

საერთაშორისო კონკურსი

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი აცხადებს ორტურიან კონკურსს ლონდონში, ბანკის ახალი შტაბ-ბინის ატრიუმის ინტერიერის პროექტზე. პირველი ტურისთვის მასალების წარდგენის ვადაა 1992 წლის 15 ოქტომბერი. კონკურსის პროგრამისა და პირობების გაგება შეიძლება არქიტექტორთა, დიზაინერთა და მხატვართა კავშირებში.

კერა მამაპაპური სულისა

გავიხსენოთ მუხროვანის ცხენსაშენი

მუხროვანი, გარეკახეთის ზეგანზე მდებარე ძველი ქართული სოფელი, საგარეჯოს რაიონშია. გასული საუკუნის შუა ხანებიდან აქ მდგარა იუნკერთა პოლკი. ერთ-ერთ შენაერთში უმსახურია დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის.

ცხენსაშენი კი აქ 1924 წელს ჩამოუყალიბებიათ და საფუძვლად ქართული ეროვნული ტრადიციები დაუდებიათ — სპორტული, ყოფითი და სამეურნეო.

ამ ცხენსაშენის საქმიანობა მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული თბილისის ძველ (დიდუბის) იპოდრომთან, რომლის დაარსება რამდენადმე წინ უძღოდა მისას. ძველი თბილისის ქალაქისპირა სოფლებს შორის დიდუბე „ცხენის ტერფის" სახელით არის მოხსენიებული: ვრცელი მინდორი ოდითგანვე ქართველ მხედართა თავშეყრის ადგილი იყო. ვარაუდობენ, რომ გაერთიანებული საქართველოს მხედრობა შამქორისა და ბასიანის ბრძოლების წინ სწორედ დიდუბის მინდვრებიდან დაძრულა.

მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში ქართველ მხედართა ძველ სასპარეზოზე ჩამოყალიბდა იპოდრომი. მუშტაიდის ბაღის მახლობლად, დიდუბეში ჩატარებული პირველი დოღები აღწერა გაზეთმა „დროებამ".

დოღი იმდენად პოპულარული იყო, რომ დამდგარა საკუთარი ცხენსაშენის შექმნის საკითხი, და აი, 1924 წელს, როგორც მოგახსენეთ, საფუძველი ეყრება მუხროვანის ცხენსაშენს. მალე იგი ინგლისური წმინდა სისხლის ბედაურების მოშენებით გახდა ცნობილი. ცხენთგამოცდების სეზონი კი ყოველწლიურად იმართებოდა იპოდრომზე.

უდავოა, ცხენსაშენს უნდა შემოეკრიბა ზოოტექნიკოს-სელექციონერთა კადრები, მწვრთნელები, მხედრები, შეერჩია სანაშენე ულაყები. მისი მუშაობის პირველი პერიოდი ჯერ ისევ შეუსწავლელია, შემდგომი წლებისა კი თითქმის ზუსტად აღვადგინეთ.

მუხროვანის ცხენსაშენში ძველი ულაყებიდან ცნობილი იყო უაიტ-სტარი და ზემბო. უაიტ-სტარი ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს გერმანიიდან იყო ჩამოყვანილი.

1927 წელს საქართველოს საჯინიბომ მოსკოვში შეიძინა სეზონის საუკეთესო წმინდა სისხლის ბედაურად აღიარებული ბერგენი, მასთან ერთად — დივნი, დაგომე და ტასია, რომლებმაც იმავე წელს თბილისში დოღის საგაზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ, ბაქოში გამართულ დოღებშიც მიიღეს მონაწილეობა.

1928 წლის დერბი (საქართველოს დიდი პრიზი) ხვდა უაიტ-სტარის შვილს დარდიმანდს — მუხროვანის ცხენსაშენის საუკეთესო ბედაურს, სწორედ იგი აღწერა „დიდოსტატის მარჯვენაში" კონსტანტინე გამსახურდიამ. საინტერესოა, რომ ამ წლის სეზონის ერთი ეპიზოდი ქართველ კინოდოკუმენტალისტებს ფირზე გადაუღიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, არქივში ამ მასალას ვერ მივაგენით.

ნიშანდობლივია, რომ თბილისის იპოდრომზე დოღის სეზონს ატარებდნენ ისეთი ცხენსაშენები, როგორიც იყო „ვოსხოდის" (კრასნოდარის მხარის), აფხაზეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის, ყარაჩალის, აზოვ-შავი ზღვის, ლიმარევკის, ვოროშილოვის, ძერჟინსკისა და სხვა ცხენსაშენები.

1933 წლის საუკეთესო ბედაური იყო როზეტა (მუხროვანის ცხენსაშენი). დიდუბის იპოდრომზე ცხენთგამოცდის სეზონში მას დასაკუთრებული აქვს არაერთი პრიზი. შესანიშნავი იყო მუხროვანის ცხენები ტერეზი, დიმი, ურმული და მრავალი სხვა.

საუკეთესო ექსტერიერული მონაცემებით გამოირჩეოდა ორი წლის ნორიო. სამწუხაროდ, ეს ბედაური გაურკვეველი მიზეზის გამო ორი წლისა დაიღუპა.

მუხროვანის ცხენსაშენში განსაკუთრებით გამოსარჩევია 1927 წლის საკავშირო დერბისტი, მოსკოვის დიდი პრიზის მფლობელი ულაყი გეტმან-ნეი. იგი იაროსლავლის ცხენსაშენში იყო დაბადებული და შემდგომ მუხროვანში გადმოყვანილი. 2400 მეტრის გარბენას დერბში გეტმან-ნეიმ მოანდომა 2 წუთი და 34 წამი. მისი მშობლები იყვნენ ჰერცოგი და ნაპოლი. 30-იან წლებში გეტმანნეი ერთ-ერთი უპირველესი სანაშენო ბედაური იყო მუხროვანის ცხენსაშენისა. მისი შთამომავლები იყვნენ ბედაურები — ლაგოდეხი, ობჩა, ელვა, და განსაკუთრებით გამორჩეული — 1936 წლის საკავშირო დერბის პრიზიორი, სამი წლის ულამაზესი ბაღდათი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

მუხროვანის 30-იანი წლების საუკეთესო ბედაურებიდან უნდა აღინიშნოს პირნათელი, ელიზბარი, შავგული, შავშეთი და მრავალი სხვა.

ქართველი მხედრებიდან ალექსანდრე ხაინდრავასთან ერთად გვინდა დავასახელოთ ვანო გვიმრაძე, ისიდორე ჩიკვილაძე, გრიგოლ ქიქავა (შემდგომში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), აკაკი სურმავა და გურჯაანელი კონსტანტინე ყოჩიაშვილი. ქართველი მწვრთნელებიდან კი სწორუპოვარი, რუსეთის არმიის ძველი კავალერისტი, გიორგის ჯვრის კავალერი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ავალიშვილი.

1941-45 წლების ომმა შეწყვიტა დიდუბის იპოდრომის ცხოვრება, მუხროვანის ცხენსაშენის ცხენები რუსეთში, თუ არ ვცდებით, ტამბოვში გადაიყვანეს. ომის შემდგომ, 1952 წელს, მათი ნაშიერები კვლავ ჩამოიყვანეს თბილისში, მაგრამ ეს უკვე იმ ძველი მასალის მხოლოდ ლანდი იყო. რა იქნა ძველი ულაყები, ამით თავი აღარავის შეუწუხებია და მას შემდეგ ქართული ცხენსაშენი წელში ვეღარ გაიმართა. არავინ იცის, ვინ და როგორ დაიტაცა, გაანიავა ქართული ქონება, პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ...

გაუმართლებლად მოისპო ძველი სასპარეზოც — დიდუბის იპოდრომი.

თამაზ ქიქავა.

* * *

სურათზე: ბედაური დვინა — 1985 წლის საკავშირო დერბის პრიზიორი.

მთავარი რედაქტორი [illegible]

მისამართი, [illegible], თბილისი, [illegible]
ტელეფონები: [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ინდექსი [illegible]